# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან

www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

ორშაბათი, 17 ივნისი. 2024 წ. №71 (9751)

ფასი 1 ლარი


# მართალი სიტყვის მაღლი

... მაინც სულ სხვაა საუკუნოვანი, 1918 წელს დამოუკიდებლობააღდგენილ საქართველოსა და ჩვენი დედაუნივერსიტეტის თანატოლი გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“.

მაინც სულ სხვაა ქართველთა მეოცე და ოცდამეერთე საუკუნის მრავალტანჯული სამშობლოს ღირსეული მემატიანის ასე საჭირო სიტყვა და საქმე.

გაზეთის დღევანდელ ნომერსაც ემჩნევა, რომ ჩვენი რედაქცია, აწ უკვე საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის განახლებულ ხელმძღვანელობასთან და ახალგაზრდა ჟურნალისტებთან ერთად ისევ მკითხველის გემოვნებასა და თითოეული ქართველის სულში იმედის გაღვივებაზე ფიქრობს.

ამ მრუმე უამს, შეშლილ მსოფლიოში იმედის გაღვივება თქვენ „ ხუმრობა ნუ გეგონებათ“!

ჩვენო გონიერო და მოწყალეო მკითხველო, თქვენგან მხოლოდ ერთ რამეს ვითხოვთ – უფრო ხშირად შეიძინოთ (ან გამოიწეროთ) ეს ყველაზე სანდო და საჭირო ეროვნული გაზეთი და ერთგულად მოეპყროთ მისი გადარჩენისა და აღორძინების ურთულეს პრობლემას.

მუდამ გახსოვდეთ, რომ მართალი სიტყვა ოდითგანვე იყო, არის და იქნება ღმერთი!

თქვენ და სრულიად საქართველოს არ მოგკლებოდეთ ჩვენი გაერთიანებული რედაქციის ჟურნალისტთა მადლიანი სიტყვა.

**სპარტაკ ძოგულია,**
„საქართველოს რესპუბლიკის“
მთავარი რედაქტორი.

## ოპოზიცია არჩევნებისთვის კი არა, სისხლისღვრისთვის ემზადება!

2

## უნიკალური გამოცემა ქართულ ეთნოგრაფიაზე

3



საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

კვირის ამბები

პერიოდული გამოცემა!

№ 1 17 ივნისი. ორშაბათი. 2024 წელი. • www.reportiori.ge •

მადლობა საუკუნოვანი საჩუქრისთვის!

*მოხდა ის, რასაც თითოეული ჩვენგანი ველოდით! დიახ, სწორედ ბიძინა ივანიშვილმა შეისყიდა იოანე-ზოსიმეს უძველესი ხელნაწერი, რომელიც საჩუქრად ეროვნულ მუზეუმს გადასცა!*

5

მთავარი რედაქტორის სვეტი

გამარჯობა. მკითხველო!



კვალი დროში

4

## აკადემიკოსი თენგიზ ზაალიშვილი 75

## თვალსაჩინო მეცნიერი, პედაგოგი, პიროვნება

საქართველოს რესპუბლიკა
www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge
ფასი 1 ლარი
„ჰოპ, ოპოზიცია იმარჯვებს...“
№71. ორშაბათი, 17 ივნისი, 2024 წელი

# ოპოზიცია არჩევნებისთვის კი არა, სისხლისღვრისთვის ემზადება!

**რევოლუცია, რომლის გარდაუვალობის იმედითაც ცხოვრობდა მთელი სამი თვე სრულიად ოპოზიცია, არ შედგა! დღიანღამიანად იბომბოქრა, კვირაში შვიდი დღე, ბრძოლაში ჩააბა, ანუ ხმაურიან აქციებში ხელისუფლების წინააღმდეგ გამოიყვანა დიასახლისები, დედები ჩვილბავშვიანი ეტლებით, საშუალო სკოლის მოსწავლეები, გაურკვევლობაში მოყოლილი გოგო-ბიჭები... ერთი სიტყვით, გეენია შეუხთეს „ოცნების“ ხელისუფლებას, „გამჭვირვალობის“ კანონზე ხელი მაინც ვერ ააღებინეს მთელი ევროპა-ამერიკის მუქარის მიუხედავად.**

რევოლუცია, რომელიც ასე საგულდაგულოდ, დაქირავებული უცხოელი კონსულტანტებისა და უცხოური გეგმებით, სქემებით, პროექტებით მზადდებოდა, ჩაქრა! არადა, რამდენი ირბინეს ოკეანის გაღმა და ევროპაში წაღმა-უკუღმა, რამდენი ფუთი დასმენა ჩაიტანეს, რამდენი იხოხეს მუხლებზე, რამდენი დოლარი დაიხარჯა ფუჭად... ჯერჯერობით ერთს მიაღწიეს, მხოლოდ არეულ ქვეყანას, ორად გაყოფილ ხალხს. მედროშედ, ბელადად ქალი გამოძებნეს, გუშინ რომ ქალფალოსას უძახდა მთელი ოპოზიცია...

**ჩაფუშული რევოლუციის შემდეგ ახალი გზის ძიება დაიწყო და გამოინახა კიდეც–26 ოქტომბრისთვის ძალთა უკიდურესად შეკავშირება, ლიდერთა გადახალისება. ამ უკეთესთა ძიებაში პირველი მსხვერპლი ერთიანი ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე ლევან ხაბეიშვილი აღმოჩნდა. ეკრანზე მოულოდნელად გამოჩნდა ეს საკმაოდ ჯანმრთელი კაცუნა და საცოდავად ამოიბლუკუნა, რაღაც ჯანზე ვერა ვარ და ამის გამო ვტოვებ თავმჯდომარის პოსტსო, ექიმებმა მითხრეს, ხატზე გადაგცემთ 2-3 თვის განმავლობაში რეუიმში მუშაობა რომ გაივლო გულშიო, პარტიის თავმჯდომარედ თინა ბოკუჩავა შემცვლის, მე კი ჩემს თავს პოლიტსაბჭოს თავმჯდომარის პოსტზე ვხედავ, ნაკლებზე არც იფიქროთ, თქვე სინდისგარეცხილებოო...**

სიტყვა დამთავრებულიც არ ჰქონდა, საკაშვილი გამოიჭრა, მხარს ვუჭერ პარტიის განახლებისთვის გადადგმულ ამ ნაბიჯსო.

რა თქმა უნდა, ამ ყბადაღებულმა „ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო“ წასვლამ ბევრი აცინა ხალხი, ნაცმოძრაობიდან კი ხაბეს გადადგომის, ანუ დაქნევის ჭეშმარიტმა ვერსიამ გამოუონა: რადგან წინ არჩევნებია და აუცილებელია კომუნიკაციები დასავლელ ლიდერებთან, ხაბეიშვილს კი საამისო არც განათლება აქვს და არც რომელიმე უცხოური ენა იცის, საჭირო გახდა ადამიანი, ვინც ამ კრიტერიუმებს დააკმაყოფილებდა; ამასთან, ერთიან სიაზე მიშას მოთხოვნა ადრე სხვა ჯგუფებისთვის მიუღებელი იყო. სრულიად სავარაუდოა, „ახლებს“ მოეთხოვათ, ხაბეიმვილი გაუშვით და, კი ბატონო, ვილაპარაკოთ ერთიან სიაზეო. ერთი სიტყვით, როგორც ჩანს, ისინი ხაბეს თავს ითხოვდნენ და გაუგორეს კიდეც...

ნაცმოძრაობამ ერთი გასროლით ორი კურდღელი მოკლა: ვისთვისაც ხაბე მისაღები არ იყო (ასეთნი ცოტანი როდი არიან, მარტო ნიკა მელია რად ღირს) მათთვის კარი გაიხსნა, ამასთან, დასავლეთთან მოლაპარაკე სპიკერიც გამოინახა.

ხოლო ირაკლი ზარქუას რომ ჰკითხოთ, ყველაფერი ცუდი გააკეთებინეს და მოისროლეს, მაგრამ ხაბე მაინც მოგებაშია, ბოტასებს და პალტოს უტოვებენო.

ამასობაში აშშ-ს სახელმწიფო ადმინისტრაციამ ხელი გამოიღო, დამუქრებული სანქციები აამოქმედა (როგორც ამბობენ, დაახლოებით 30 კაცზე), თუმცა, გვარები რატომღაც არ გაუმხელიათ: „ჩვენ არ ვაგზავნით შეტყობინებებს, მაგრამ ისინი ამის შესახებ გაიგებენ, თუკი ეცდებიან აშშ-ში ჩამოსვლას.“ ალბათ, თვითმფრინავიდან ჩამოსვამენ?! საზეიმოდ კი გვამცნეს, რომ სახელმწიფო დეპარტამენტმა ინდივიდუალური სანქციები, სავიზო აკრძალვები დაუწესა „ქართული ოცნებისა“ და პარლამენტის წევრებს, ასევე სამართალდამცველებს და კერძო პირებს, ათეულობით პირს და მათი ოჯახის წევრებს, ვინც პასუხს აგებს საქართველოში დემოკრატიის ძირის გამოთხრაზე, თავისუფალი შეკრების უფლების შელახვაზე, დემონსტრანტების მიმართ ძალადობაზე...

ოღონდ, ამ ინკოგნიტო სანქციებს მაინცდამაინც დიდი შიში არ გამოუწვევია, მათ შორის იმათი, ვისაც ეს სანქციები უკვე შეეხო.

**პახა პალაძის განცხადებით, სანქციები არ ცვლის მათ დამოკიდებულებას სამშობლოს მიმართ. მან სანქციებს უწოდა გარდაცვლილი ოპოზიციის ერთგვარი წახალისება. ოპოზიცია არის ზერო, ნული, როდის იყო, მკვდარი ცოცხლდებოდაო? დეპუტატმა დიმიტრი ხუნდაძემ კი სანქციების დაწესებას დემოკრატიის უკუსვლა და დასავლური დემოკრატიის შავი დღე უწოდა.**

ოკეანის გაღმიდან თავდასხმები კი გრძელდება...კონგრესში განიხილეს „მეგობარი აქტი“. ჰელსინკის კომისიის ფარგლებში გაიმართა მოსმენა საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ. მოსმენაზე სიტყვით გამოვიდნენ საქართველოში აშშ-ის ყოფილი ელჩი უილიამ კორტნი და საქართველოს ორი მოქალაქე: სამოქალაქო საზოგადოების ფონდის ევროინტეგრაციის პროგრამის ხელმძღვანელი ივანე ჩხიკვაძე და ევროკავშირში საქართველოს ყოფილი ელჩი ნატალია საბანაძე. ეს იყო სამშობლოს ღალატი („ ჩვენ გვჭირდება კონკრეტული ნაბიჯები, რომლებიც შეაჩერებს საქართველოს ხელისუფლების სვლას რუსეთის ორბიტისკენ, ხელისუფლებისა, რომელმაც აღმართა კედელი საქართველოსა და დასავლეთს შორის“).

კორტნი: „ურთიერთობა საქართველოსთან კიდევ უფრო გაურესდება, თუ „ქართული ოცნება“ ოქტომბრის არჩევნებს გააყალბებს. ამერიკამ შეიძლება ახალი ინდივიდები დაამატოს „შავ სიას“, გაყინოს მათი აქტივები და ამერიკელებს აუკრძალოს მათთან საქმის დაჭერა“.

კონგრესის სხდომაზე გაიელვა შალვა ნათელაშვილმა, რომლის წერილობითი მიმართვაც დაედო საფუძვლად ამ მოსმენასო, ესეც გახმიანდა.

ასეა: ღალატი, მტრის მხარეს გადასვლა ნორმად იქცა, ოღონდ ძნელი ყოფილა იმის ნახვა და მოსმენა, თუ როგორ გირჭობს შენი თანამოძმე ზურგში დანას–თავდაჯერებით და გამეტებულად. მათ მიაღწიეს იმას, რომ ფაქტობრივად საშველი არ არის. საფრანგეთში ვიზიტისას მისტერ ჯო ბაიდენმა და მუსიე ემანუელ მაკრონმა კიდევ ერთხელ მიმართეს „ქართულ ოცნებას“ ერთობლივ განცხადებაში: „პატივი ეცით საზოგადოების სურვილებს და ევროატლანტიკურ გზაზე დაბრუნდით!“

ოღონდ, არ განუმარტავთ, ისე, ზეპირად უნდა მივხვდეთ, რომელი საზოგადოების რომელი სურვილების პატივისცემას გვირჩევენ ასე დაბეჯითებით და ევროატლანტიკურ გზაზე დაბრუნებას რატომ გვაიძულებენ, როცა ამ გზიდან არც არასდროს გადაგვიხვევია. ღმერთმა ხომ იცის, რომ ასე ფუთავს ჩვენი მოწამლული ოპოზიცია, რომლის უკუღმართი სურვილების პატივისცემასაც გვირჩევენ!

* * *

**მოხდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, ოღონდ, ამჯერად თვით ევროპისთვის. დასრულდა ევროპარლამენტის არჩევნები. წინასწარი მონაცემებით, ფსევდოლიბერალური ფრთა შესუსტდა, სამაგიეროდ გაძლიერდა კონსერვატორული მიდგომები. ამის მაგალითად შეიძლება დასახელდეს საფრანგეთი და გერმანია, სადაც მაკრონის და შოლცის პარტიებმა საკმაოდ ცუდი შედეგები აჩვენეს. გამოიკვეთა მნიშვნელოვანი ტენდენცია: ევროპაში**

## კვირის ციტატა

# ექვს მილიარდზე მეტი დოლარის დახმარება გაგიწიეთ!..

**სამწუხაროდ, დღეს ვრცელდება დეზინფორმაცია ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს ურთიერთობის შესახებ. ზოგიერთი (პოლიტიკოსი) აცხადებს, რომ ჩვენ ვართ „გლობალური ომის პარტია“ და თითქოსდა ვცდილობთ რევოლუციის წახალისებას ამ ქვეყანაში, თითქოს ჩვენ გვაქვს ბოროტი ზრახვები. ამის მოსმენა ნამდვილად გულდასაწყვეტია, რადგან ამ ქვეყანაში ჩვენი ისტორია, აგერ უკვე 32 წელზე მეტია, არის ხალხებს შორის ძლიერი კავშირების ისტორია ამერიკელებსა და ქართველებს შორის სამედიცინო, განათლებისა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გაზიარების სფეროში ღრმა ურთიერთობების დამყარების ისტორია. ასევე ჩვენი თავდაცვის ძალების გაძლიერებაში ერთმანეთისთვის დახმარების გაწევის ისტორია.**

**32 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ჩვენ საქართველოს 6 მილიარდი დოლარის დახმარება გავუწიეთ.**

**რობინ დანიგანი**
**ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში!**

საქართველოს რესპუბლიკა
www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge
ფასი 1 ლარი

**„ბრძოლა“ რომ მართლაც ფიცხელი იქნება, ამას თქმაც არ უნდა, მაგრამ ოპოზიცია არჩევნებისთვის კი არა, ხელჩართული ბრძოლისთვის, სისხლისღვრისთვის ემზადება. ხედავთ? საარჩევნო უბნებზე მძიმე ფიზიკური ბრძოლის გადახდა მოგვიწევსო!**

**საარჩევნო უბნებზე მძიმე ფიზიკური ბრძოლები რაღაც ახალია ყველა დროისა და ყველა ხალხის საარჩევნო ისტორიაში. მსგავსი რამ ფაშისტურ გერმანიაშიც არ მომხდარა, არც გუბაზ სანიკიძის მსგავსი ხმამაღალი „წინასწარმეტყველება“ გახმიანებულა.**

ახალგაზრდობა სულ უფრო უჭერს მხარს კონსერვატორულ-ტრადიციულ მიდგომებს და მშვენიერი ფორმულაც შემოგვთავაზა—ქვეყნის ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე შეთანხმება საერთო ევროპულ ინტერესებზე და არა პირიქით—საერთო ინტერესების პროვოცირება ქვეყნის ინტერესების მიმართო.

ევროკავშირის ელჩმა საქართველოში პაველ ჰერჩინსკიმ განაცხადა, ევროკავშირის მხარდაჭერა სამოქალაქო საზოგადოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ არ დაიკლებს, პირიქით, „რუსული კანონის“ საპასუხოდ, შესაძლოა, ზოგიერთი დაფინანსება, რაც გამოყოფილი გვაქვს საქართველოს მთავრობისათვის, გადავამისამართოთ, რათა გავზარდოთ სამოქალაქო ორგანიზაციების მხარდაჭერაო.

თუ ეს ასე მოხდება, გამოდის, რომ არასამთავრობოებისადმი დახმარება კი არ დაიკლებს, არამედ, მოიმატებს, ოღონდ, სახელმწიფოს ხარჯზე, ამდენად წუხილისა და შეშფოთების მიზეზი არავის ექნება.

და გიძნელდება გაერკვე, ამდენ მომღიმარ გარემომცველში ვინ მტერია და ვინ მოყვარე. თუმცა, ეს კია: მტერ-მოყვრის გარკვევაში თვითონვე გვეხმარებიან, სულ იმაზე ლაპარაკობენ, რა დღეს წაგვკიდებენ „გამარჯვების“ შემთხვევაში. ამას წინათ ერთი ოყლაყი გვიამბობდა, რა მძიმე ფიზიკური ბრძოლის გადახდა მოუწევთ საარჩევნო უბნებზე ყოველი ხმისთვის(?!). გუბაზ სანიკიძე კი გვიმტკიცებდა, ყოველ დღევანდელ საშუალო ოცნებელს რა მწარედ მოჰკითხავენ გამარჯვების შემდეგ!

**„ბრძოლა“ რომ მართლაც ფიცხელი იქნება, ამას თქმაც არ უნდა, მაგრამ ოპოზიცია არჩევნებისთვის, კი არა, ხელჩართული ბრძოლისთვის სისხლისღვრისთვის ემზადება. ხედავთ? საარჩევნო უბნებზე მძიმე ფიზიკური ბრძოლის გადახდა მოგვიწევსო!**

**საარჩევნო უბნებზე მძიმე ფიზიკური ბრძოლები რაღაც ახალია ყველა დროისა და ყველა ხალხის საარჩევნო ისტორიაში. მსგავსი რამ ფაშისტურ გერმანიაშიც არ მომხდარა, არც-გუბაზ სანიკიძის მსგავსი ხმამაღალი „წინასწარმეტყველება“ გახმიანებულა.**

საერთოდ კი ოპოზიციას არჩეული აქვს ძველი, მაგრამ უტყუარი საარჩევნო სტრატეგია: „ოცნება“ არჩევნებს გააყალბებს, რადგან დარწმუნებულია დამარცხებაში. მას ამის საშუალება არ უნდა მივცეთ. ვემზადოთ გაყალბების...მხილებისთვის, ოპოზიციამ აუცილებლად უნდა გაიმარჯვოსო.

არის ასეთი ანდაზა: ჯერ გადახტი და „ჰოპ“ მერე დაიძახეო!

ოპოზიცია კი „ჰოპს“ თავისი უპირატესობის ათასგვარი ჭკუამიღმური გამოთვლის საფუძველზე იძახის. მათ „უტყუარად“ გამოთვალეს, რომ ოპოზიციას მხარს უჭერს საქართველოს მოსახლეობის 85 პროცენტი.

არც მეტი და არც ნაკლები!

აქედან არჩევნებზე 80 პროცენტი ხომ მაინც მოვა!

ჰოპ, გაგვიმარჯვნია და ეს არის!..

**ალეკო ასლანიშვილი**

**საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით კულტურის სამინისტროს განახლებულ სააქტო დარბაზში ქართული ეთნოგრაფიის სკოლის ფუძემდებლის, გამოჩენილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას, „შრომების“ (ხუთტომეული) პრეზენტაცია გაიმართა.**

ღონისძიებას საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრი თეა წულუკიანი, მინისტრის მოადგილე ნიკოლოზ აზნაურაშვილი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი, საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე ნიკა ახალმედაშვილი, გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორი ნინო ჭიპაშვილი, საქართველოს ხელოვნების სასახლე-კულტურის ისტორიის მუზეუმის დირექტორი გიორგი კალანდია, მწერალთა სახლის დირექტორი ქეთევან დუმბაძე, ასევე, აკადემიკოსები, კულტურის, სამეცნიერო და აკადემიური სფეროს მოღვაწეები და სხვა მიწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

**I ტომი – ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფა და მატერიალური კულტურა – გ. ჩიტაიას კვლევამ დაადასტურა ის უდიდესი წვლილი, რომელიც ქართველმა ხალხმა შეიტანა სამიწათმოქმედო კულტურის განვითარებაში მარცვლეულის ადგილობრივი ჯიშების გამოყვანითა და სახვნელი იარაღის სრულყოფით; II ტომი – კულტურულ-ისტორიული პრობლემები და ქართველი ხალხის ეთნოგენეზი – წარმოდგენილი ნაშრომები მთლიანად ემსახურება ქართველი ხალხის კულტურულ მემკვიდრეობაში ეთნიკური თავისებურებების აღმოჩენას, რომლებიც მუღაენდება შრომის ჩვევებსა და საწარმოო გამოცდილებაში; III ტომი – ქართული ეთნოგრაფია, საველე-ეთნოგრაფიული ძიებანი, მეთოდოლოგია – ეძღვნება ქართული ეთნოგრაფიის ჩამოყალიბება-განვითარებისა და ეთნოგრაფიული სამეცნიერო სკოლის შექმნის ისტორიას (1924-1980), საორგანიზაციო და საველე მუშაობის მეთოდიკას, სამუზეუმო საქმიანობის განვითარებას, ეთნოგრაფიული მუზეუმის თბილისში, ღია ცის ქვეშ, დაფუძნებას; IV ტომი მოიცავს საუნივერსიტეტო ლექციების კურსს ეთნოგრაფიაში – „სვეტებს“. გ. ჩიტაიას ლეგენდად ქცეულ „სვეტებზე“ ისტორიკოსთა თაობები გაიზარდა. ეს არის პირველი სალექციო კურსები ზოგად და ქართულ ეთნოგრაფიაში. V ტომი – ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევები, წერილები, რეცენზიები – თემატურად მრავალფეროვანია.**

მასში ასახულია ქართული სამეცნიერო აზრის განვითარების ისტორია, დახასიათებულია მე-20 საუკუნის ქართველ მეცნიერთა შემოქმედებითი გზა, კრიტიკულად არის შეფასებული ქართველი ხალხის წარმოშობის ევროპული თეორიები, როგორიც არის საქართველოსა და კავკასიის გამოცხადება მხოლოდ შარაგზად და მრავალრიცხოვან ტომთა თავშესაფრად (რიტერი).

## ჩინარა ნაბიევა:

# უანგაროდ ვსწავლობთ და ვასწავლით ქართულ ენას!

**ჩინარა ნაბიევა 1992 წელს ბოლნისის რაიონის სოფელ ნახიდურში დაიბადა.**

**2010 წელს დაამთავრა ამავე სოფლის საშუალო სკოლა. 2011 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1+4 პროგრამით. მშვენივრად ფლობს ქართულ ენას.**

**დღეს ის ბოლნისის მუნიციპალიტეტში საკუთარი საქმიანობის შესახებ გვესაუბრება.**

2020 წლიდან დავიწყე მუშაობა ნახიდურის საჯარო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად, პარალელურად ვმუშაობ ბოლნისის მუნიციპალიტეტის გაზეთ „ბოლნისის" საინფორმაციო განყოფილების თარჯიმნად. 2021 წლიდან კავკასიის იურიდიული ინტეგრაციის ცენტრში ქართული ენის მასწავლებელი ვარ.

ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ბოლნისის, დმანისის, თეთრიწყაროსა და წალკის მუნიციპალიტეტების მაჟორიტარი დეპუტატის **გოგი მეშველიანის** ინიციატივით, 2021 წლიდან ბოლნისის სოფლებში: ნახიდური, ტალავერი, ქვემო ბოლნისი და დარბაზი, სოციალური და საგანმანათლებლო სათემო ცენტრები დაარსდა. მე ნახიდურის სათემო ცენტრის დირექტორად ვმუშაობ 2023 წლიდან.

ამ სოფლებში მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელებისთვის აღნიშნულ ცენტრებში ქართული ენის შემსწავლელი კურსები უფასოდ ტარდება.

ამ მოსწავლეების სოციალიზაციისთვის ცენტრებში სხვადასხვა ღონისძიებებს ვმართავთ. ეროვნული დღესასწაულები ყოველთვის მაღალ დონეზე იმართება.

იმედი მაქვს, რომ მომავალში სხვა სოფლებშიც გაიხსნება ასეთი ცენტრები და სახელმწიფო ენის შემსწავლელი კურსები ყველასთვის ხელმისაწვდომი იქნება.

უნდა გამოვყო, ნოვრუზ ბაირამის დღესასწაული, რომელიც წელს მაღალ დონეზე ჩავატარეთ ქალაქ ბოლნისში, ასევე 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გავმართეთ სოფელ ნახიდურში ჩემი ინიციატივით, ბოლნისის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის და ნახიდურის საჯარო სკოლის დირექტორის მხარდაჭერით.

სკოლის ეზოში საქართველოს დროშები გამოვფინეთ და ასევე, გავმართეთ თავისუფალი თემებისა და ნახატების კონკურსი დამოუკიდებულობის დღესთან დაკავშირებით. გამარჯვებულ გავშვებს საჩუქრები გადავეცით.

მსგავსი ღონისძიებები მოზარდებში სამშობლოსადმი სიყვარულს ზრდის.

მოგეხსენებათ არაფორმალური განათლება მნიშვნელოვან როლს ასრულებს ახალგაზრდობის განვითარებასა და წინსვლაში. ჩვენს სათემო ცენტრში ამ მხრივ მევრი ტრენინგი ტარდება.

2023 წელს სამოქალაქო თანასწორობის პლატფორმამ, რომლის თავმჯდომარეა სამირა ისმაილოვა, მემორანდუმი გააფორმა ბოლნისის მერიასთან. 6 თვის განმავლობაში კვირაში ერთხელ სხვადასხვა თემაზე შემეცნებითი შეხვედრები და ტრენინგები ჩავატარეთ. პროექტის ფინალში ბავშვები წავიყვანეთ პრეზიდენტის სასახლეში და პარლამენტში სხდომას დავასწარით.

2023 წელს პროექტის ფარგლებში გაიმართა ტრენინგები: ადრეული ქორწინება, გენდერული თანასწორობა, განათლებისა და საკუთრების უფლება, ქალთა ეკონომიკური გაძლიერება, მედია-წიგნიერება და მედიის როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, პროექტის შედგენა და მართვა, გარემოსდაცვითი კომპეტენციების განვითარების მიზნით ჩატარდა გამწვანების და დასუფთავების აქციები.

წელსაც ვაგრძელებთ მსგავსი პროექტების განხორციელებას და ტრენინგებზე შეხვედრებს. დედამიწის დღესთან დაკავშირებით გავმართეთ დასუფთავების აქციები, ჩავატარეთ მიუსაფარი ძაღლების გამოკვების აქციაც.

სათემო ცენტრების შექმნის ინიციატივისთვის ბატონ გოგი მეშველიანს გულწრფელ მადლობას ვუხდით, რადგან ამ ცენტრებმა მოსახლეობას ფართო არეალი გაუხსნა საერთაშორისო საკითხების, საკუთარი ტრადიციებისა და იდენტობის შესასწავლად და რაც მთავარია, შრომით ბაზარზე კონკურენტუნარიან პიროვნებებად ჩამოყალიბების პრობლემის მოსაგვარებლად.

**ვიმედოვნებთ, მსგავსი სახის ცენტრები კვლავაც აქტიურად იმუშავებენ.**

**ჩინარა ნაბიევა,**
**ნახიდურის სათემო ცენტრის დირექტორი.**

# თვალსაჩინო მეცნიერი, პედაგოგი, პიროვნება

## აკადემიკოსი თენგიზ ზაალიშვილი 75

**გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, აკადემიკოს თენგიზ ზაალიშვილს დაბადებიდან 75 და სამეცნიერო პედაგოგიური მოღვაწეობის 45 წელი შეუსრულდა.**

იგი გამოჩენილი ბიოფიზიკოსის, აკადემიკოს მალხაზ ზაალიშვილის ოჯახში დაიბადა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, 1971-1974 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტის ასპირანტი. 1974 წლიდან მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ბიოფიზიკის სექტორში ჯერ – უმცროსი, 1985 წლიდან კი უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის პოზიციაზე. 1983 წელს თენგიზ ზაალიშვილმა დაიცვა დისერტაცია ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის, ხოლო 1992 წელს ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად.

1986 წლიდან, ბიოფიზიკის სექტორის ინსტიტუტად ჩამოყალიბების შემდეგ იგი იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოლეკულური ბიოლოგიისა და ბიოფიზიკის ინსტიტუტის ფუნქციური გენომიკის განყოფილების გამგე, 2000-2006 წლებში – ინსტიტუტის დირექტორი, 2006–2010 წლებში – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოლეკულური ბიოლოგიის და ბიოფიზიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე. 2010 წლიდან, რამდენიმე ინსტიტუტის ბაზაზე ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის ჩამოყალიბების შემდეგ ხელმძღვანელობს ცენტრის გენომის სტრუქტურისა და ფუნქციის ლაბორატორიას.

**1997 წელს თენგიზ ზაალიშვილი აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 2021 წელს კი – ნამდვილ წევრად.**

**აკადემიკოსი თენგიზ ზაალიშვილი არის 80-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, რომლებიც გამოქვეყნებულია სხვადასხვა საერთაშორისო და ქართულ ჟურნალებში, ის არის მრავალი საერთაშორისო კონფერენციის მონაწილე.**

აკადემიკოს თენგიზ ზაალიშვილს დიდი ღვაწლი მიუძღვის ეუკარიოტული გენომის, კერძოდ, ბირთვულ მატრიქსთან და არამატრიქსულ უბნებთან ასოცირებული ADP-რიბოზილ ტრანსფერაზისა და DNA ტოპოიზომერაზების როლის შესწავლაში– გენეტიკურ პროცესებში. მის მიერ გამოკვლეულია ვირთაგვას ღვიძლის და თავის ტვინის უჯრედების ბირთვებში მატრიქსსა და ნუკლეოპლაზმას შორის დნმ-ტოპოიზომერაზა I-ის და II-ის განაწილება და აქტივობა ნორმასა და ჰიპერთერმიის პირობებში. დადგენილია ბირთვული მატრიქსისა და ცილების პოსტტრანსლაციური მოდიფიკაციის ADP-რიბოზილირების როლი გენომის დონეზე მიმდინარე პროცესებში.

**ბატონი თენგიზის მიერ შემუშავებულია ADP-რიბოზილირებით ბირთვული ცილების მოდიფიკაციის მაკატალიზებელი ფერმენტის პოლი (ADP-რიბოზა) პოლიმერაზა 1-ის თავის ტვინიდან გამოყოფისა და გასუფთავების მარტივი და სწრაფი მეთოდი.**

განსაკუთრებით საინტერესოა მის მიერ მიღებული ისეთი მნიშვნელოვანი მონაცემები, რომლებიც მიუთითებენ, რომ დნმ-ის ტრანსკრიფციისა და რეპლიკაციის ინიციაციის მსგავსად, რეპარაცია შეიძლება წარიმართოს ბირთვული მატრიქსის დონეზე. გამოვლენილია, რომ ვირთაგვების დასხივება განაპირობებს ბირთვული პოლი (ADP-რიბოზა)–პოლიმერაზა 1-ის აქტივობის ზრდასთან ერთად NAD-ის შემცველობის შემცირებას თავის ტვინში. შესაბამისად, დადგენილია, რომ ექსტრემალურ სიტუაციაში დნმ-ის დაზიანებული უბნებისთვის აუცილებელია ADP-რიბოზილირებით ცილების გაძლიერებული მოდიფიკაცია.

აკადემიკოს თენგიზ ზაალიშვილის მიერ ვირთაგვას თავის ტვინის ბირთვებში იდენტიფიცირებულია ADP-რიბოზისა და პიროფოსფატისგან ATP-ის მასინთეზებელი ფერმენტი ADP-რიბოზა პიროფოსფორილაზა.

**აკადემიკოს თენგიზ ზაალიშვილის კვლევის შედეგებს დიდი სამეცნიერო-პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს გენომის დონეზე მიმდინარე მარეგულირებელი მექანიზმების გარკვევისა და პრაქტიკული მედიცინისთვის.**

აკად. თენგიზ ზაალიშვილს დიდი წვლილი მიუძღვის მოლეკულურ ბიოლოგიასა და ბიოქიმიაში ახალგაზრდა კადრების მომზადების საქმეში. წლების მანძილზე ის ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში. 1996–2006 წლებში იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბიოქიმიის კათედრის პროფესორი.

აკადემიკოსი თენგიზ ზაალიშვილი 2006–2010 წლებში იყო IBRO-ს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონული კომიტეტის წევრი. იგი არის სამეცნიერო ჟურნალების სარედაქციო კოლეგიის წევრი; საქართველოს ბიოქიმიკოსთა ასოციაციის, ევრომეცნიერების ასოციაციის, საერთაშორისო კვლევითი საზოგადოების SIGMA Xi და ტვინის შემსწავლელი საერთაშორისო ორგანიზაციის (IBRO) წევრი.

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ულოცავს ბატონ თენგიზს იუბილეს და უსურვებს მას ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, ოჯახურ ბედნიერებას, მხნეობას და დაწყებული საქმეების განხორციელებას.**

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

# ასეთი მკურნალის პატრონს გული სულ საგულეს გექნება!..

**რამდენადაც განალურია იმის თქმა, რომ ჯანმრთელობის ფასი ადამიანისთვის არაფერია, მით უფრო მეტადაა სასიხარულო ის გარემოება, რომ საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემა საქართველოში დამოუკიდებლობის წლებში, ერთ-ერთი იმ სფეროთაგანია, სადაც მიღწეული შედეგები გულწრფელ შექებას იმსახურებს.**

**ბუნებრივია, რომ ჯანდაცვის საერთო დონის ამაღლება, მრავალი კომპონენტისგან შედგება, რომელთა შესახებ ლაპარაკი ქვემოთ გვექნება, მაგრამ, ამასთან ერთად, აუცილებლად აღსანიშნავია ისიც, რომ არც ერთ, მსოფლიოს მოწინავე ქვეყანაში, ყველა სამკურნალო დაწესებულება ერთნაირად მაღალი სამედიცინო სტანდარტისა და, შესაბამისად, რეპუტაციის მქონე არ არის. სავსებით გასაგები მიზეზებით, ყველგან არის ერთგვარად გასაშუალებულ დონესთან ახლოს მდგომი სხვადასხვა პროფილის კლინიკები და გარკვეული მიმართულების გამორჩეული სამედიცინო ცენტრები. ცხადია, იგივე სურათი გვაქვს საქართველოშიც და ერთ-ერთ მათგანზე, კერძოდ, გულიკო ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი დახმარების კარდიოლოგიური კლინიკა გახლავთ, რომელიც წინამდებარე წერილის, ასე ვთქვათ, „კოლექტიური გმირია“, თუმცა კი ლაპარაკი კიდევ აუცილებლად გვექნება მის ერთ-ერთ გამორჩეულ წევრზე.**

სადავო ნამდვილად არ არის, რომ ყველა წარმატებული წარმოების არსებობისთვის (რომელთა რიცხვს, პირობითად, „ჯანმრთელობის შემკეთებელი“ დაწესებულებაც შეიძლება მივაკუთვნოთ) არსებობს უმთავრესი ორი წინაპირობა: ყველა დონის მუშაკის უზადო პროფესიონალიზმი და საქმისადმი კეთილსინდისიერი მიდგომა, ასევე, სათანადო ტექნიკური აღჭურვილობით უზრუნველყოფა. ორივე ეს მოთხოვნა გადაუდებელი კარდიოლოგიური დახმარების კლინიკაში „ფრიადზეა“ შესრულებული. ამასთან, სავსებით ცხადია ისიც, რომ ამ ორივე პარამეტრის უზრუნველყოფა მარტო კეთილი სურვილითა და „ერთი ხელის მოსმით“ არ ხდება, **ამას ხანგრძლივი, სერიოზული მუშაობა, სათანადო ნიჭი და კვალიფიკაცია სჭირდება, რითაც უხვად იყო დაჯილდოებული წლების მანძილზე ცენტრის ხელმძღვანელი, საუცხოო პიროვნება, ცოტა ხნის წინათ უდროოდ წასული მამულიშვილი, ბატონი ავთანდილ ჯორბენაძე.**

მაღალი რეპუტაციის მქონე კლინიკის არსებობის ერთ-ერთ წინაპირობად, წეღან კოლექტივის ყველა დონის წევრის მაღალი პროფესიონალიზმი, უზადო უნარ-ჩვევები და საქმისადმი მიდგომა ვახსენე. საგანგებოდ მინდა აღვნიშნო, რომ ამ მხრივ გულიკო ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიური დახმარების კლინიკა არა მარტო საქართველოში, არამედ საერთაშორისო მასშტაბითაც გამორჩეული ცენტრია. მასში სხვადასხვა თაობის უმაღლესი დონის პროფესიონალთა მთელი თანავარსკვლავედი მოღვაწეობს, რაც ბატონ ავთანდილ ჯორბენაძის უდიდესი დამსახურებაა, რომელმაც თავის დროზე უფროსი თაობის სახელოვან სპეციალისტებს, იმხანად სულ ახალგაზრდა, ნიჭიერი და კარგად განსწავლული ახალგზდა ექიმები შეუწყვილა, რომლებიც ამუამად საავადმყოფოს ხერხემალს წარმოადგენენ.

ამდენად, ასეთ კოლექტივში, სადაც უმაღლესი სამედიცინო კვალიფიკაციის, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების მკურნალობის სხვადასხვა მიმართულების მრავალი გამორჩეული სპეციალისტია, მოწინავე პოზიციაზე წლების მანძილზე ყოფნა სულაც არ გახლავთ მარტივი საქმე.

ექიმ-კარდიოლოგის **სოფო უნგიაძის** სახელი პირველად ერთი ჩემი ახლობლისგან შევიტყვე, რომელსაც წლების განმავლობაში გულთან დაკავშირებული პრობლემები აქვს. გადაუდებელი კარდიოლოგიური დახმარების კლინიკაში მკურნალობის ციკლის გავლის შემდეგ, იგი აღფრთოვანებით მიყვებოდა თავისი მკურნალი ექიმის შესახებ, რომელიც სწორედ ქალბატონი სოფო გახლდათ.

აუცილებლად უნდა ითქვას, რომ, ექიმობისთვის დაბადებული ახალგაზრდა ქალბატონი სოფო უნგიაძე დიდად საამაყო, ტრადიციულ ქართულ ოჯახში დაიბადა. დედამისი ქალბატონი მადონა ალფაიძე ცნობილი ექიმ-სტომატოლოგი გახლავთ და სწორედ მისმა საექიმო მოღვაწეობამ, საბედნიეროდ, ქალიშვილიც ექიმობის გზაზე დააყენა.

ექიმობის პარალელურად სოფო დღეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტია.

სოფო უნგიაძეს ღვთით ნაბოძები მკურნალის სრულიად უნიკალური ნიჭი აქვს. სიტყვა „მკურნალი“ შემთხვევით არ ვიხმარე, რადგან ექიმის უპირველესი საქმეა სწორედ სნეული კაცის „განკურნება“, ჯანმრთელობის დაბრუნება თუ მისი შენარჩუნება. ამასთან, პროფესიული ცოდნის გარდა, თითოეულ პაციენტთან მას ნდობაზე დაფუძნებული პიროვნული ურთიერთობა უნდა ჰქონდეს. ამის მიღწევა კი, განსაკუთრებით სათნო პიროვნული თვისებების არმქონე ექიმისთვის, საკმაოდ ძნელი საქმეა.

ასეთი გულთბილი და გულისყურიანი ადამიანია სოფო-ექიმი, რაც უმალ იკითხებოდა, როცა იგი პალატაში შემოდიოდა – ყველა ავადმყოფი, უშუალოდ მისი პაციენტი იყო თუ სხვა, მას მუდამ დიდი სიმპათიით ეგებებოდა. მისთვის არ არსებობდა „სამუშაოს დამთავრების“ დრო – დილიდან საღამომდე იგი საქმეში იყო ჩართული, ამასთან, ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული თუ დედაქალაქის მკვიდრი „უცხო“ პაციენტების მიღების საათებში მასთან ყოველთვის ხალხმრავლობა იყო და არის!

ქალბატონ სოფო უნგიაძის სახელი არა მარტო საქართველოში, არამედ საზღვარგარეთაც კარგადაა ცნობილი, რასაც კარდიოლოგთა თავყრილობებზე, ასევე საგანგებო კონსულტაციებზე უცხოეთის ქვეყნებში ხშირი მიწვევები ცხადად მოწმობს.

**დაბოლოს, კიდევ რისი თქმა მინდა: როცა იცი, რომ შენს სამშობლოში ასეთი ადამიანი და ამ დონის პროფესიონალი მოღვაწეობს, გული სიამაყით გევსება, რადგანაც იმედიანად ხარ კაცი.**

**იმედი კი დიდი ძალაა!**

**დიდი მადლობა თქვენ, ქალბატონო სოფო, დიდი მადლობა გულიკო ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიური კლინიკის მთელ კოლექტივს!**

**დიმიტრი კოტეტიშვილი,**
**საქართველოს პარლამენტის ყოფილი დეპუტატი,**
**საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის აკადემიკოსი,**
**ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის წევრი.**

საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

# კვირის ამბები

პერიოდული გამოცემა!

საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრები ძირეულად თამაშობს ევროპის ჩემპიონატზე. წარმატება და გამარჯვება ვუსურვოთ ჩვენ ბიჭებს!

№ 1 17 ივნისი, ორშაბათი, 2024 წელი. • www.reportiori.ge •

# მადლობა საუკუნოვანი საჩუქრისთვის!

*მოხდა ის, რასაც თითოეული ჩვენგანი ველოდით! დიახ, სწორედ ბიძინა ივანიშვილმა შეისყიდა იოანე-ზოსიმეს უძველესი ხელნაწერი, რომელიც საჩუქრად ეროვნულ მუზეუმს გადასცა!*

დიახ, სწორედ **ბიძინა ივანიშვილმა შეიძინა იოანე-ზოსიმეს უნიკალური და უძველესი ხელნაწერი ქვეყნისთვის საჩუქრად,** ისევე, როგორც სწორედ **ბიძინა ივანიშვილმა სამშობლოში გაწეული ქველმოქმედებისთვის** ათ მილიარდზე მეტი **დახარჯა დღემდე!**

**საუკუნეებს რომ გაჰყვება, ის გააკეთა ბიძინა ივანიშვილმა იოანე-ზოსიმეს ხელნაწერის შეძენით და ეროვნული მუზეუმისთვის ჩუქებით!**

**უდიდესი მადლობა უნდა ვუთხრათ კაცს, რომელმაც ის ნაბიჯი გადადგა, რომლის მსგავსითაც, აგერ უკვე, მეოთხედ საუკუნეზე მეტია, ანებივრებს საქართველოს და ქართული კულტურის თითოეულ მოამაგეს! მადლობა ბიძინა ივანიშვილს საუკუნოვანი საჩუქრისთვის!**

5

## მთავარი რედაქტორის სვეტი

## გამარჯობა. მკითხველო!

**ძვირფასო მკითხველო!**

დღევანდელ რეალობაში, როდესაც სოციალურ ქსელებს და ტელემედიას უფრო ეტანება საზოგადოება, ალბათ, სიგიჟეს ჰგავს ახალი გაზეთის გამოცემა.

თუმცა, არც უგაზეთობაა და გულწრფელები თუ ვიქნებით, ყველა სხვა მედიასთან შედარებით - ბეჭდური მედია მარადიულია.

მარადიულია წიგნიც და გაზეთიც, ჟურნალიც და „პროკლამაციაც“...

ამიტომაც „ვრისკავთ“.

**თქვენი გულშემატკივრობის იმედითა და მედიაჰორიზონტზე ახალი სიტყვის სათქმელადაც ვრისკავთ.**

ასეც იქნება.

ჩვენ გეტყვით ჩვენს სათქმელსაც და საზოგადოებაში დაგროვილ სატკივარსაც თვალნათლივ დაგანახებთ.

**საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციისა** და გაზეთ **„საქართველოს რესპუბლიკის“** პარტნიორობა წლებს ითვლის, არახალია და ახლა უკვე გაზეთ **„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციასთან და** მედია-ჰოლდინგ „რეპორტიონთან“ ერთად ვიწყებთ ახალი ნაბიჯების გადადგმასაც და **მთავარი ამბების ნაკრებს, ანუ დაიჯესტური სახის გამოცემასაც პერიოდულად მოგაწვდით.**

**პარტნიორი სხვაც ბევრი გვეყოლება. პარტნიორიც და მეგობარიც, კოლეგაც და კეთილი რჩევის დიდოსტატიც.**

მთავარია, ვიწყებთ.

ვიცით, მტერსაც გავიჩენთ და მომდურავსაც, მაგრამ სათქმელი უნდა ითქვას.

ითქვას ილიასეულად - **სარკეს მოგიტანთ და დაგანახებთ ტკივილსაც და სიხარულსაც, ღიმილიანი თემებითაც გაგიხალისებთ საკითხავ წუთებს.**

მაშ, ასე...

**„კვირის ამბების“ პირველი ნომერი თქვენს ხელთაა.**

მსაჯულებიც თქვენ ხართ და ჩვენი ავკარგიანობის ამწონავებიც.

**გიორგი მამაცაშვილი**

**საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის თავმჯდომარე, მედია-ჰოლდინგ „რეპორტიორის“ გენერალური დირექტორი, გაერთიანებული რედაქციის მთავარი რედაქტორი.**



**პაატა ნაცვლიშვილი:**

**რეზო თაბუკაშვილის გახსენება იოანე-ზოსიმეს ფონზე**

4

**ნანა დევდარიანი:**

**ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციაში უნდა აღდგეს ჩვენი ფედერაციის წევრობა!**

8



**თეიმურაზ ქორიძე:**

**ახალი ერთიანი ნაციონალური ეპიდემია - თავის მოტყუების სინდრომი**

6

გაერთიანებული რედაქციის მთავარი რედაქტორი:
**გიორგი მამაცაშვილი**

მთ. რედაქტორის მოადგილეები:
**ანი მათიაშვილი,**
**დიანა ლიპარტელიანი**

რედაქტორი:
**მაია მარგველანი**

შემოქმედებითი ჯგუფი:
**თამარ კვარაცხელია,**
**თამარ კიკალიშვილი,**
**ბაკურ სვანიძე,**
**ნინო გოძიაშვილი,**
**თეონა გოგნიაშვილი,**
**ეკა ზარნაძე.**

სტილისტ-რედაქტორი:
**ნონა ხუციშვილი**
მენეჯერი:
**ნინო ბუაჩიძე**
სოციალური ქსელის მენეჯერები:
**გიორგი სალუქვაძე,**
**სოფიო ჭინჭარაული**
ტექნიკური დირექტორი,
**მერაბ დულარიძე**
დაკაბადონება:
**გიორგი მახარაშვილი**

**მისამართი:**
თბილისი. აკაკი წერეთლის # 116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
**kvirisambebi@gmail.com**

**გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს. რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს უკან არ უბრუნდებათ. აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.**

**გამომცემელი:**
გამომცემლობა „სამშობლო“


# «ვიპუ-მედისკენ დაიძარით და ოსანა უფლერეთ!»

***ამ ანგელოზივით გოგო-ბიჭებისა მიკვირს.***
***არც კანონი აქვთ წაკითხული და არც გამჭვირვალობისა ესმით რამე, ალბათ. ცეკვა-თამაში, ღამისთევა და იდეურად „ქვეყნის სადარაჯოზე დგომა“ უხარიათ და ღმერთმა სულ სამხიარულოდ გაუხადოთ საქმე.***
***უბრალოდ, მათი გულწრფელობით სარგებლობენ ეს გვამისმჭამელი ზონდერ-ლიდერები და მათი სილაღის ხარჯზე გეგმავენ სისხლით გაძღომას!***

ახლა, ამ კაკაფონიის ფონზე, ამ მიტინგომანიისა და კონჩიტების დაგეგმილი რევოლუციის ფონზე, ერთიც უნდა ვთქვა.

მაგრად აკლიათ **გირჩი ჯაფარიძისა** და **მიშას ჯაფარიძის** მიმდევრებს...

**მიშასი სოფოა**. კბილების „დოხტური“.

აკლიათ-მეთქი და ძალიან მაგრად აკლიათ!

არც **ლიაკა ხოშტარიას** და **ალიკა ელისაშვილის** მიმდევრები ჩამორჩებიან, მარა მაგათ ცოტა ჰყავთ გაუბედურებული **მხარდამჭერები.**

**ყველაზე ბევრი - გიჟ ატრაკუნესა ჰყავდა, ახლა კოტეს თინათი რომ ჩაანაცვლეს.**

ვინაა **ატრაკუნე** და რატომ გაწირეს **ატრაკუნე**?

ეს ისაა, სოფელ-სოფელ დარბოდა...

თან, შეხედეთ **„მთავარ არხს“, „ფორმულას“, „ტვ პირველს“...**

იმდენი და იმდენნაირი **ატრაკუნეები** ჰყავთ, სათვალავი აგერევათ.

**გვარამიას** და **ვაშაძის** მოწყობილი რევოლუცია არ გაიშვას არსად.

თან როგორ ყროყინებდა რამდენიმე?!

რაც იციან, იციან და...

**მამუკა ხაზარაძეს, აკუკი მინაშვილს, ლევან ხაბეიშვილს, ხატია დეკანოიძეს, დავით კეზერაშვილს,**

**ეკა გიგაურს** და **სალომეს** ებარებოდეთ, **ატრაკუნეებო.**

**სალომეს** - გნებავთ, **სამადაშვილსა** და გნებავთ, - **ზურაბიშვილს**.

**ხაბეიშვილის** ხსენებაზე ეზოს შიგნით და ეზოს გარეთ დაბმული ვირის ანეკდოტი გამახსენდა და ეგრეა რა, ესენი ყველა ერთმანეთსა ჰგვანან. ესენი ყველანი ერთი და იგივეები არიან.

არადა, ვირი მაინც ვირია.

გნებვთ, **თინას** მოსამსახურედ დანიშნეთ და გნებავთ, პირად კონტროლზე ააყვანინეთ ბორჩალოში წვიმისგან დატბორილი შუკები.

თქვენი მოწყობილი რევოლუციისა იყოს, **ატრაკუნეებო!**

●

ისე, გაქანებული მიტინგომანიის დროს, რამდენჯერმე განაცხადეს - ხელისუფლებამ რეპრესიები დააანონსაო.

შეცდომაა.

**სწორია:** ხელისუფლებამ კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარებაზე ისაუბრა, თუ რომელიმე ცხელთავიანს შტურმი და სახელმწიფო შენობების ბლოკირება მოუვიდოდა თავში და ასე იქნება მუდამ.

●

იმ „ცნობადი სახეებისა“ მიკვირს, მართლა კარგად რომ იციან და ნაპროკურორარი **ნიკა გვარამიას** რეჟიმის სადიზმი საკუთარ ტყავზეც რომ აქვთ გამოცდილი და მართლა გულწრფელად მინდა დავიჯერო, - არ იციან, ვის და რას უჭერენ მხარს.

იმ ახლობლებისა მიკვირს, აქციიდან აქციაზე რომ დარბოდნენ და „არა – რუსულ კანონსო“, გაჰყვიროდნენ.

არადა, ევროპასთან თუ ვინმემ დააახლოვა ეს ქვეყანა, სწორედ „ქართული

ოცნებაა“...

ასოცირების ხელშეკრულება, ვიზალიბერალიზაცია, კანდიდატის სტატუსი...

დიახ, ამ ხელისუფლების მონაპოვარია ევროპისკენ გადადგმული ეს ნაბიჯები და თუ ბრმა არ ხარ, კი უნდა ხედავდე.

●

თუ ვინმე იყო, ვისთვისაც **„რუსულ ფულს სუნი არ ჰქონდა“**, - **ვანო მერაბიშვილი** იყო.

თუ ვინმესთვის **„პუტინს ლამაზი თვალები ჰქონდა“**, - **მიხეილ სააკაშვილი** იყო.

თუ ვინმე **„რუსული კულტურის ნაწილად“** თვლიდა თავს, - „ნაცების“ საპრეზიდენტო კანდიდატი **გრიშა ვაშაძე** იყო.

თუ ვინმეს ჯიბეში რუსეთის მოქალაქის პასპორტი უდევს, ნაცების ერთ-ერთი დამფინანსებელი **კობა ნაყოფიაა.**

თუ ვინმეს რუსეთიდან ფული ერიცხება, - **ლიაკა ხოშტარიაა.**

მერე რა, ამ ფულიდან აქციებზე გასააქტიურებლად ჩემთვის პატივსაცემ ადამიანსაც თუ უხდის თანხას, სათქმელი არ ვთქვა?

●

„არც ნაცი ვარ და არც ქოცი“ - დივიდენდია, ალბათ, ბევრი თქვენგანისთვის.

ფაქტია, რომ დღეს დგახართ იმ მკვლელებისა და ჯალათების გვერდით, რომლებმაც სისხლით შეღებეს საქართველოს ცხრაწლიანი (ცოტა მეტიც!) ისტორია და ერთიცაა: პრინციპში, მაინც მგონია, რომ ყველამ ყველაფერი კარგად იცის.

ორსაჯდომა(!) ადამიანებით გაიტენა ე.წ. მესამე მხარე და ეგაა, თორემ მგონი, თქვენც ნათლად ხედავთ, - 14 წლის ბავშვებს რომ უდანაშაულოდ იჭერდა და პატიმრებს მოკლული პატიმრების გვამებზე აბამდნენ, იმ ხელისუფლების წარმომადგენლები (მხარდამჭერები კი არა...) გველაპარაკებიან დღეს რეპრესიებზე.

●

ჩაატარეთ მშვიდობიანი აქცია?

ჩაატარეთ.

დაგშალათ ვინმემ?

არა.

**ეკა გიგაურმა** ხაჭაპურებით გიმასპინძლათ და **ნინო ლომჯარიამ** - ჩიფსებით?!

კი.

მიირთვით **ლომჯარიასი**?

მიირთვით და დაიშალეთ.

პოლიციამ დაგიცვათ გაუგებრობებისგან?

დაგიცვათ.

სხვათაშორის, იმ პოლიციამ იზრუნა თქვენს უსაფრთხოებაზე, სახეში რომ აფურთხებდით და „მონებს“ ეძახდით.

იმ პოლიციელებმა დაიცვეს თქვენი სიმშვიდე, **„მოლოტოვის კოქტეილით“** რომ უპირებდით ამობუგვას!

აბა, რაღა გინდათ მეტი?

როდისმე დააპირებთ არევას და შტურმს სახელმწიფო შენობებზე?

მიიღებთ ადეკვატურ პასუხს სახელმწიფოსგან!

●

სატირალი რომ არ იყოს, მართლა სასაცილოა, რა...

**ვანო მერაბიშვილის, ბაჩო ახალაიას, დათა ახალაიას, გიგა ბოკერიას, გიგი უგულავას, დიმიტრი შაშკინის, სოსო თოფურიძის, ზურაბ ადეიშვილის** და მათივე ლეგიონის შემადგენელი ჯალათების მემკვიდრეები და დღესაც თანამზრახველები მშვიდობიანი პროტესტის ჩახშობაზე და კონსტიტუციაზე გველაპარაკებიან...

**თამარა ჩერგოლეიშვილის „ტაბულა“ პატრიარქის** ყოველ განცხადებას მთელი გულმოდგინებით აქვეყნებს.

**ლაშა ბულაძე „მრავალჟამიერს“** მღერის და წმინდა **თამარ მეფის** სახელზე სანთლებს ანთებს.

**ბექა ყორშიას** მიტინგი მიჰყავს და **გუბაზ სანიკიძე** ვინმე უჩას სოლიდარობას უცხადებს.

სასწაული ეს არის, თუ გინდათ...

●

ოჰ, მართლა როგორი ალალია ახლა ამ მაძღარ პოლიტლიდერებზე **ახალაიებისა** და **მერაბიშვილის** ზონდერბრიგადები...

მერე მიხვდებოდით განსხვავებას მშვიდობიან პროტესტსა და პოლიციელის დაწვის მცდელობით განებივრებული მუწუკი **ლაზარეს** პროტესტს შორის...

**სალომე ზურაბიშვილის** მიერ შეწყალებული, ჯალათი(!) **გრიგორიადისის** მუხტი არ ჩაგიქრეთ, ფრთხილად...

და ერთიც: „ოცნების“ ხელისუფლებას როცა დაამხობთ, მისამართი არ დაგავიწყდეთ – **რუსეთის დროშის ფერებში ათქვეფილი გერბის და ლოგოს მფლობელი პარტიის „თლა უფროსისკენ“ დაიძარით, „ვივა-მედისკენ“ დაიძარით და „ოსანა“ უმღერეთ დორბლიან გიჟს!**

**ეეეჰჰჰ...**

ჰო, სანქციებიო...

ატეხეს ახალი აჟიოტაჟი.

დიახ, **ხელისუფლებას სწორი პოლიტიკური კურსი უჭირავს** და **მურმანისეულად** თუ გეტყვით - ქართულად უძღვებიან საქმეს და ქართული, ეროვნული, თავისუფალი საქართველოს შენებას აგრძელებენ.

**დაე, ჩემი ერთი აგურიც იდოს ამ შენებაში...**

**გიორგი მამაცაშვილი**

**ფაქტია, რომ დღეს დგახართ იმ მკვლელებისა და ჯალათების გვერდით, რომლებმაც სისხლით შეღებეს საქართველოს ცხრაწლიანი (ცოტა მეტიც!) ისტორია!**

## მურმან ლებანიძე

### მიყვარს ქართულად...

მიყვარს ქართულად,
მძულს ქართულად,
ვმღერი ქართულად
მადლობა ღმერთს,
ნებადართულად.

შანსი მქონია,
არ მომირთხამს
ფეხი თათრულად,
ვზივარ და
ფეხი ფეხზე მიძევს,
ეგეც ქართულად.

და, კი ბატონო,
თარგმნეთ რუსულად,
თარგმნეთ სპარსულად,
მაგრამ მე მიყვარს,
მე მძულს,
მე მწამს,
მე ვწერ ქართულად.

მე, ყოვლად ქართველს,
ყოველივე მიყვარს
ქართული,
ამიტომაც ვარ
ქართველებთან
წელგამართული.





ინტერვიუ:

# რეზო თაბუკაშვილის გახსენება იოანე-ზოსიმეს ფონზე

**„მიამბო, როგორ ჩამოიტანა უნიკალური ხელნაწერის ამბავი, როგორ შეისწავლა მისი გზა წმინდა ეკატერინეს მონასტრიდან კრაუსის ანტიკვარული წიგნის მაღაზიამდე, როგორ დაამონტაჟა ფურცელ-ფურცელ თავისი ხელით გადაღებული მთელი ხელნაწერი კინო- თუ ფოტოკადრებად და როგორ დაულაგა ყველაფერი საქართველოს ხელნაწერთა ცენტრის მაშინდელ დირექტორს, აკადემიკოს ელენე მეტრეველს მაგიდაზე...“**

*1988 წელს მეორედ ვიყავი ამერიკაში. გამოვნახე დრო და ნიუ-იორკში, მანჰეტენის ცენტრში კრაუსის ანტიკვარული წიგნის მაღაზიას ვესტუმრე.*

შევედი და, თითქოს ყოველდღე აქ დავდიოდი, **მისტერ კრაუსი** ვიკითხე შინაურულად. ახლა აქ არ გახლავთო, ავადმყოფობსო, – ქალბატონმა მითხრა. შეიძლება მისი ქალიშვილიც კი იყო. რით შემიძლია გემსახუროთო.

იშვიათი წიგნების მაღაზია კი ერქვა, მაგრამ ნამდვილი მუზეუმი იყო. ბუკინისტური წიგნის მაღაზია როგორ არ მინახავს, ანტიკვარულიც, მაგრამ ამისთანა მანამდე არსად არაფერი. არც მერე – სხვათა შორის. ფოტოაპარატი ამოვიღე, მაგრამ არაო, – იმ ქალბატონმა, – და მეორემაც – გადაღება არ შეიძლებაო! დავიწყე მუზეუმის დათვალიერება. **ამერიგო ვესპუჩის** წერილები იყო გამოფენილი. ორიგინალები – არა, ორიგინალები ბატონმა **კრაუსმა** წლების წინ კონგრესის ბიბლიოთეკას აჩუქაო. რამე ქართული იშვიათობა ხომ არა გაქვთ-მეთქი, – ვიკითხე. კატალოგში მაჩვენეს რამდენიმე ფოტო და მივხვდი, რომ საქართველო და ჯორჯია ერთმანეთში არეოდათ. მისტერ **კრაუსი** რომ ყოფილიყო, მალე მიხვდებოდა ყველაფერს. ავსტრიული წარმოშობის **ჰანს პეტერ კრაუსი,** რომელსაც ბუკინისტური სამყარო **HPK**-დ იცნობდა, მსოფლიოში ალბათ ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი ბუკინისტი და კოლექციონერი გახლდათ.

**ახლა შევძვერი გუგლში და მე რომ მის მაღაზიაში ვიყავი, სწორედ იმ წელს გარდაცვლილა 1 ნოემბერს, 81 წლისა. შეიძლება მას მერე ვეღარც მივიდა იმ თავის მაღაზია-მუზეუმში.**

როცა რამდენიმე წლის შემდეგ ისევ მოვხვდი ნიუ-იორკში, მისი მაღაზია იქ აღარ იყო, მისი კოლექცია კი, როგორც გუგლი გვეუბნება, მის მეუღლეს, ქალიშვილსა და სიძეს „სოთბის“ აუქციონზე გაუყიდიათ.

●

**ახლაღა გავიგე, ისევ გუგლიდან, რომ კრაუსი ერთადერთი წიგნით მოვაჭრე იყო მსოფლიოში, რომელსაც გუტენბერგის ბიბლიაც ჰქონდა და გუტენბერგის მიერვე მაინცში დაბეჭდილი ფსალმუნის პირველი და მეორე გამოცემები — 1457 და 1459 წლების უიშვიათესი ინკუნაბულები.**

მაშინ არ ვიცოდი, თორემ ალბათ ამათი მულიაჟებიც იქნებოდა იქვე გამოფენილი.

მე კი იმხანად არა **გუტენბერგის** პირველნაბეჭდი წიგნები ან **ამერიგო ვესპუჩის** წერილები, არამედ **იოანე-ზოსიმეს პალიმფსესტი** მაინტერესებდა. ქალებმა იმ პალიმფსესტის შესახებ ან არაფერი იცოდნენ, ან დამიმალეს — ჩაცმა-დახურვით არაფრით ვგავდი ამგვარი საგანძურის მყიდველს. ხოლო **იოანე-ზოსიმეს** ამბავი **რეზო თაბუკაშვილის** ფილმიდან ვიცოდი — მისი **„ნაძარცვის კვალდაკვალ“** წინა წელს მქონდა ნანახი. ისიც ვერ გავიგე, **იოანე-ზოსიმეს ხელნაწერი** ჯერ ისევ **კრაუსის** საკუთრება იყო თუ უკვე ვინმეს ეყიდა. ბევრი კი არაფერი, სულ რაღაც **285 ათასი დოლარი** ღირდა!

ის, რაც მაშინ, 40 წლის წინათ **285 ათასი დოლარი** ღირდა, დღეს **1,250 მილიონ სტერლინგად** გაიყიდა, კიდევ 40 წლის შემდეგ, ვინ იცის, იქნებ ხუთი მილიონიც ღირდეს. ახლა, როცა ეს საგანძური სადაცაა თბილისში ჩამოვა და აქ სამუდამოდ დაიდებს ბინას, არის ატეხილი ერთი ჟრიამული - რა საჭირო იყო ამისი ყიდვა, ყოფილიყო სადაც იყო, უბრალოდ შეგვესნავლა და ეს იქნებოდაო. ან კიდევ — ეს ქველმოქმედება კი არ არის, უბრალოდ საარჩევნო პიარ-აქციააო, თითქოს განებივრებული ვიყოთ ასეთი პიარ-აქციებით ან ვთქვათ, თითქოს მსგავსი პიარ-აქცია არ სჯობდეს 1000-ლარიანი პენსიის დაპირებას. **არადა, რომ არ ეყიდა, მერე იმაზე ატყდებოდა დიდი ამბავი, ამდენი ფული აქვს და ერისთვის ასეთი მნიშვნელოვანი საგანძურისთვის ერთი მილიონი დაენანაო!** იმასაც განიხილავენ, რატომ უნდა გადაეცეს მუზეუმს, როცა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი არსებობსო. კი, ეს ასეა, ყველა ხელნაწერი, რომელიც დღეს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაცული, ოდესღაც მუზეუმის კუთვნილება იყო და თავის დროზე ხელნაწერთა ინსტიტუტი სწორედ მუზეუმის კუთვნილი იშვიათი ხელნაწერების საცავად შეიქმნა. იოანე-ზოსიმეს ხელნაწერიც, ალბათ, დღეს იქნება თუ ხვალ, ჩემი ფიქრით, სწორედ აქ დაიდებს ბინას, მაგრამ მთავარია, რომ უნიკალური ხელნაწერი, თუნდაც საარჩევნო პიარ-აქციის წყალობით, საქართველოშია. **არ ვიცი, წარმოიდგენდა ამას თუ არა რეზო თაბუკაშვილი, მაგრამ იმის თქმა კი შეიძლება, რომ მისი ოცნება ახდა და მისი სული ახლა ზეიმობს...**

ჰოდა, ნიუ-იორკში **იოანე-ზოსიმესი** კი ვერაფერი გავიგე, მაგრამ **კრაუსის** ანტიკვარული მაღაზიიდან თავბრუდახვეული გამოვედი. კიდევ კარგი, ის მაინც მოვახერხე, რომ რაკი შიგნიდან არ გამიშვეს, ქუჩიდან გადავუღე მაღაზიას ფოტო. ხანდახან მხვდებოდა ხოლმე ეს ფოტო, მაგრამ ახლა, როცა დამჭირდა, თუმცა მთელი ღამე ვეძებე, ვერ ვიპოვე, როგორც ეს ძირითადად ხდება ხოლმე. როცა იქნება გამოჩნდება და ისე შევინახავ, რომ თვალს აღარ მიეფაროს.

ამერიკიდან ჩამოსული კი რამდენიმე დღეში **რეზო თაბუკაშვილს** ვეწვიე. კარი **ლაშამ** გამიღო და შენი მეგობარი იმ ოთახში გელოდებაო, — მითხრა. მე და **ლაშა თაბუკაშვილი** თანასკოლელები ვარ, თითქმის თანატოლები, ვმეგობრობთ კიდეც, მაგრამ ისე მოხდა, რომ ბატონ რეზოსთან უფრო ვმეგობრობდი. მაშინ უკვე დაწერილი მქონდა წიგნი მის შესახებ **„ბედნიერი ჭირისუფალი“**. სასიგნალო ეგზემპლარები რომ ავუტანე, დიდხანს ვიწვალე, რა წარწერა გამეკეთებინა. მეორე ცალი გამომართვა და სანამ შენ ფიქრობ, მე გავაკეთებ წარწერას შენს წიგნზეო. რა და როგორ დააწერა, ამით ახლა თავს ვერ მოვიწონებ. იმას კი ვიტყვი და იმით კი მოვიწონებ თავს, რომ ხშირად ისე საინტერესო ამბებს მიყვებოდა, ჩვეულებრივ რომ ყველას არ უყვებიან — თავისას თუ სხვისას, საიდუმლოსა და უფრო მეტად საიდუმლოს.

ეს წლები როგორ აკლდა და აკლია **რეზო თაბუკაშვილი** საქართველოს! როგორ აკლია მისი სიბრძნე და შორსმხედველობა ჩვენს პოლიტიკას, ჩვენს ექსპერტებსა და ანალიტიკოსებს, ჩვენს ახალგაზრდებსა თუ ძველგაზრდებს.

ჰოდა, იმ დღესაც მოვუყევი ჩემი ამერიკული თავგადასავალი. მინდოდა, ცალი თვალი მაინც შემევლო **იოანე-ზოსიმეს** ხელნაწერისთვის, მაგრამ თქვენი თქმისა არ იყოს, ომწაგებული გამოვედი **კრაუსის** მაღაზიიდან, მეორე შანსი კი არ მომცემია-მეთქი.

გაიცინა და მაგ **კრაუსთან** დაკავშირებით ერთი სალაღობო ამბავი გადამხდა, რომელიც, რა თქმა უნდა, ფილმში არ შევიდა, მაგრამ შენ მინდა, იცოდეო

●

და მიამბო, როგორ ჩამოიტანა უნიკალური ხელნაწერის ამბავი, როგორ შეისწავლა მისი გზა **წმინდა ეკატერინეს მონასტრიდან კრაუსის ანტიკვარული წიგნის მაღაზიამდე**, როგორ დაამონტაჟა ფურცელ-ფურცელ თავისი ხელით გადაღებული მთელი ხელნაწერი კინო- თუ ფოტოკადრებად და როგორ დაულაგა ეს ყველაფერი საქართველოს ხელნაწერთა ცენტრის მაშინდელ დირექტორს, აკადემიკოს **ელენე მეტრეველს** მაგიდაზე. და როგორ შეიმუშავეს მათ ერთობლივი გეგმა, როგორ და რა გზით შეიძლებოდა ხელნაწერის შეძენა, ვისთვის მიემართათ, როგორ, როდის. **ელენე მეტრეველმა** მაშინვე შემოიხმო თავის კაბინეტში ამ საქმის სპეციალისტები, მათთვის უცნობი ხელნაწერის კადრები აჩვენა და **რეზო თაბუკაშვილის** ნაამბობი ახლა თავად უამბო.

ჰოდა, — ბატონო რეზო მეუბნება, — ფილმი ჯერ კიდევ წარმოებაშია და ქუჩაში მხვდება ერთი ახალგაზრდა, რომელიც თან მეცნობა და თან არა, და ქებით ცაში ავყავარ **იოანე-ზოსიმეს** ხელნაწერის გამომზეურების გამო. თქვენ არ იცით, რამხელა გმირობა ჩაიდინეთო, — მეუბნება. მერე ჩანთას ხსნის და წიგნს მაძლევს — თქვენი გმირობის ამბავი ამ ჩემს წიგნში აღვწერეო. გამოვართვი, მადლობა გადავუხადე, შინ მისულმა წიგნი თაროზე შემოვდე და ალბათ აღარც გამახსენდებოდა, რომ არა უცხოელი სტუმარი, რომელიც წლების შემდეგ შინ უნდა მწვეოდა და უჩვეულოდ დიდხანს დაიგვიანა. ველოდე, ველოდე და რაკი ვერც სხვა რამ საქმე გავიჩინე, ეს წიგნი მომხვდა თვალში და მოდი, ერთი ვნახავ, როგორ არის ჩემი გმირობა აღწერილი-მეთქი, — გავიფიქრე. დროის მოსაკლავად გადავშალე წიგნი, ჩემი გმირული გვარი ვიპოვე წიგნის საძიებელში და ჩემი გმირობის ამბის წაკითხვას შევუდექი. ვკითხულობ, ვკითხულობ, ვკითხულობ და ყველაფერი ზუსტად არის აღწერილი, ლამის სიტყვა-სიტყვით, როგორც იმ დღეს მოვუყევი ხელნაწერის ამბავი **ელენე მეტრეველს** და როგორც მერე ის თავად მოუყვა მისგან მოხმობილ სპეციალისტებს — ხელნაწერის წარმომავლობა, როდის, სად და ვინ აღმოაჩინა, როგორ დაიკარგა, მერე როგორ გამოჩნდა, როგორ გაიყიდა, მაგრამ ჩემი გმირობის კი არა, ჩემი ხსენებაც არ არის. და ბოლოს, სულ ბოლო წინადადებაში ავტორი მეც მახსენებს და წერს, რომ — როგორც ამას წინათ მაცნობა ნიუ-იორკიდან დაბრუნებულმა **რ. თაბუკაშვილმა,** ეს ხელნაწერი თურმე ეკუთვნის ნიუ-იორკელ წიგნით მოვაჭრეს ვინმე **კრაუსსო**. აი, მთელი ჩემი გმირობა — წიგნის ავტორს ხელნაწერის ადგილსამყოფელი ვაცნობე, — თქვა და გაიცინა.

ვთხოვე ბატონ რეზოს, ან წიგნის ავტორი დაესახელებინა ჩემთვის, ან თავად წიგნი, მაგრამ არა, არ არის საჭიროო. ვიფიქრე, სხვა დროს მეტყვის-მეთქი, მაგრამ მერე მეც მიმავიწყდა ეს ამბავი, მალე რეზო თაბუკაშვილი გარდაიცვალა კიდეც — ჩემი დღევანდელი გადასახედიდან ძალიან ახალგაზრდა — 63 წლისა, და მისი ეს მაშინდელი მონათხრობი ჩემს დღიურსღა შემორჩა. კოხტად კი ჩამიწერია ყველაფერი. თუმცა აბსტრაქტულად, მთავარი პერსონაჟის დაუსახელებლად.

●

გამახსენდებოდა ეს ამბავი, როგორ არ გამახსენდებოდა, როცა ქველმოქმედება-პიარის აიწონა-დაიწონაზე შემოდებულ **იოანე-ზოსიმეს** ხელნაწერი იმაზე მეტ მნიშვნელობა იძენს ჩვენს ორად გახლეჩილ საზოგადოებაში, ვიდრე მაშინ ჰქონდა, როცა **რეზო თაბუკაშვილის** ფილმს უყურებდა ერთი მგზნებარებით ანთებული მთელი საქართველო ან როცა **იოანე-ზოსიმეს** თავისი ხელით გამოჭყავდა გადაფხეკილ ფურცლებზე ქართული ნუსხა-ხუცური ასოები.

**იოანე-ზოსიმესთან** ამაზე ახლოს მე არც ამჯერად არავინ მიმიშვებს და ისევ ისლა დამრჩენია, კიდევ ერთხელ ვნახო და გავიხსენო **რეზო თაბუკაშვილის** ის ფილმი... თან ფილმის ტექსტის აკრეფაც არ დავიზარე. იყოს აქ, როგორც რეზო თაბუკაშვილის წლების წინ ნაოცნებარის გახსენება და მისი რეჟისორული, ჟურნალისტური, დიპლომატიური თუ უბრალოდ მამულიშვილური გმირობის დასტური. ან როგორც თაობათა გადაძახილი. თაობებზე გამახსენდა, თუ არის შემორჩენილი და თუ მოვძებნე, მერე მის სიტყვასაც დავდებ, თბილისის უნივერსიტეტში რომ მიმართა 1989 წლის ნაცხრააპრილებ ახალგაზრდებს — ჯენიქსის თაობას — დღევანდელი ჯენზის თანატოლებს, მაშინ რომ შვილები იყვნენ და დღეს უკვე მამები თუ პაპები რომ არიან. დღესაც არ დაუკარგავს იმ სიტყვებს ელვარება.

●

და აი, რეზო თაბუკაშვილის ფილმის ჩვენთვის საინტერესო ფრაგმენტის ტექსტი. შეგახსენებთ, ფილმის სათაურია **„ნაძარცვის კვალდაკვალ“:**

*...„ახლა გვინდა ვისარგებლო და თვალი გავადევნოთ მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი ხელნაწერის, პალესტინურ-სირიული წარმომავლობის პალიმფსესტის ბედს, რომლის კვალიც ნიუ-იორკისკენ მიდის.*

*ცნობილია, რომ ამ პალიმფსესტის ზედა შრე **იოანე-ზოსიმეს** ხელნაწერია.*

*ამ პალიმფსესტის თავგადასავალი ასეთია.*



# მადლობა!

***მოხდა ის, რასაც თითოეული ჩვენგანი ველოდით! დიახ, სწორედ ბიძინა ივანიშვილმა შეისყიდა იოანე-ზოსიმეს უძველესი ხელნაწერი, რომელიც საჩუქრად ეროვნულ მუზეუმს გადასცა!***

*ქართველ განმანათლებელთა საქმიანობა სინის მთის* ***წმინდა ეკატერინეს მონასტერში*** *ჯერ კიდევ VI-VII საუკუნეებში დაწყებულა. მაგრამ მათი ყველაზე ცხოველი ლიტერატურული მოღვაწეობა X საუკუნით თარიღდება, როცა სინის მთის სავანეს შეეხიზნენ საბაწმინდიდან წამოსული ჩვენი ცნობილი სასულიერო მწერალი, მთარგმნელი, ჰიმნოგრაფი —* ***იოანე-ზოსიმე*** *და ძმანი მისნი.*

***1883 წელი. ალექსანდრე ცაგარელი*** *აღწერს ამ ხელნაწერს სინის მთაზე ყოფნისას. და მეცნიერულ ლიტერატურაში იმ დღიდან ის* ***ცაგარელი-81****-ის სახელით ხდება ცნობილი.*

***1902 წელი.*** *ივანე ჯავახიშვილი* *და* ***ნიკო მარი*** *სინის მთას ეწვივნენ და ხელნაწერი იქ აღარ დახვდათ. გაირკვა, რომ ხელნაწერი ვინმე* ***ფრიდრიხ გროტეს*** *შეუძენია და ასე მოხვედრილა პალიმფსესტი გერმანიაში.*

***1929 წელი.*** *ხელნაწერი ბერლინში, კერძო კოლექციაშია და მაშინ გაეცნო მას* ***გრიგოლ ფერაძე.*** *1933 წელს კი იბეჭდება ფერაძის წერილი ხელნაწერის შესახებ. ხელნაწერის კვალი ისევ 21 წლით იკარგება.*

*21 წლის შემდეგ პროფესორი* ***ჟერარ გარიტი*** *აქვეყნებს ცნობას, რომ 1954 წლის 14 აპრილს პალიმფსესტი გაყიდულა ლონდონში, „სოთბის“ აუქციონზე.* ***გარიტისათვის*** *ეს უცნობებია მის მასწავლებელსა და სულიერ მამას,* ***მიხეილ თარხნიშვილს.*** *აუქციონზე მყიდველის ვინაობის გამხელა აკრძალულია, მაგრამ ეს საიდუმლოც გამჟღავნდა და გაირკვა,რომ ხელნაწერის მყიდველი იყო ვინმე* ***ფიშერი,*** *ამერიკელი კოლექციონერი, ქალაქ დეტროიტიდან.*

*ისევ ნიუ-იორკი. მოგვიანებით გაირკვა, რომ ფიშერს ხელნაწერი 14 წლის შემდეგ მიუყიდია ერთი ანტიკვარული ბუკინისტური მაღაზიისათვის ნიუ-იორკში. ამ პალიმფსესტის ამერიკაში მნახველთაგან ცნობილნი არიან გერმანელი მეცნიერი* ***ასფალგი*** *და ბელგიელი პროფესორი* ***მიშელ ვან ესბროკი.***

*ალბათ იოლი წარმოსადგენია ქართველი ადამიანის მღელვარება, როცა ნიუ-იორკის ცენტრში მიადგები აბრას, რომელზეც აწერია* ***„კრაუსი“*** *და ამ დროისათვის უკვე იცი, რომ ეს სწორედ ის ბუკინისტი* ***ჰანს კრაუსია,*** *რომელმაც* ***ფიშერისაგან*** *იყიდა ჩვენი ხელნაწერი... და რაოდენ უნდა იმატოს მღელვარებამ, როცა შეიტყობ, რომ 16 წლის წინათ გასაყიდად ნაყიდი ქართული რელიკვია ჯერ კიდევ გაუყიდველია. ძნელი აღმოჩნდა საუბარი მოხუც კრაუსთან და, სამწუხაროდ, ომწაგებულნი გამოვედით მაღაზიიდან.*

*ჩვენ შორის ასეთი დიალოგი გაიმართა:*

***- ბატონო კრაუს! ხელნაწერის ნახვა თუ შეიძლება?***

*- თქვენ რა, ყიდვას აპირებთ?*

***- არა, ამჯერად ყიდვას, ალბათ, ვერ შევძლებთ, მაგრამ... ისე, რამდენადაა შეფასებული?***

*- თუ არ ყიდულობთ, ნახვა რად გინდათ, კატალოგითაც მიხვდებით, რომ ეს ხელნაწერი ფასდაუდებელია, მაგრამ მე სიმბოლიურად მცირე ფასი მაინც დავადე, 285 ათასი დოლარი.*

*ორას ოთხმოცდახუთი ათასი დოლარი! ეს თანხა რამდენადმე აღემატება ჩვენს ტურისტულ შესაძლებლობას და, ამდენად, სტუმარ-მასპინძლები უსიტყვოდ ვშორდებით ერთმანეთს.*

*მაგრამ* ***კრაუსმა*** *არ იცის, რომ დღევანდელი დღე მასთან ურთიერთობის მხოლოდ პირველი რაუნდია. ორი დღეღა გვრჩება სამშობლოში დაბრუნებამდე და კრაუსის მოდრეკის უკანასკნელ ცდას მხოლოდ ხვალ თუ ჩავატარებთ. ასე მოხდა. მეორე დღეს კიდევ ერთხელ ვესტუმრეთ მოხუცს.*

*- ბატონო კრაუს! თქვენ ხომ ეს ხელნაწერი 16 წლის განმავლობაში ვერა და ვერ გაასხვისეთ, ან ვინ გადაიხდის თითქმის მილიონის მესამედს მხოლოდ იმაში, რომ ხელნაწერი ძველია და დაფლეთილი? ამის მყიდველი შეიძლება იყოს მხოლოდ ის ქვეყანა, ვისთვისაც ის ეროვნული რელიკვიაცაა და მეცნიერული ინტერესის შემცველი წიგნიც. ასეთი ქვეყანა მხოლოდ საქართველოა,- ამას ვეუბნებით, მაგრამ გვახსენდება, რომ უცხოეთში სიტყვიერ პირობას წერილობითი ფასი აქვს, - ბატონო კრაუს! ვერ დაგპირდებით, რომ აუცილებლად ვიყიდით ამ ხელნაწერს, მაგრამ ყოველმხრივ ვეცდებით დავაინტერესოთ ჩვენი მეცნიერებათა აკადემია.*

***კრაუსი*** *გატყდა და ბოლოს და ბოლოს დაგვთანხმდა, გადაგვეღო მისი ინტერვიუცა და თვითონ ხელნაწერიც, ოღონდ ყოველგვარი გადაფურცვლის გარეშე.*

*გულწრფელად რომ ვთქვათ, ჩვენთვის ეს ინტერვიუ იყო ერთადერთი გზა ამ პალიმფსესტის ნახვისა, თორემ მოსაყოლი რაც ჰქონდა კრაუსს, პირველივე დღეს მოგვიყვა. მოხუცი ამჯერად დიდხანს მოგვითხრობდა ხელნაწერის ისტორიას, ბოლოს, ჩვენდა იღბლად, დაიღალა და გამოგვიცხადა ის, რაზეც ვოცნებობდით:*

***- მე თუ აღარ გჭირდებით, ჩემი ქალიშვილი და თანამშრომელი ქალების, მოგხედავენო.***

*ქალებთან მოლაპარაკება უფრო იოლი აღმოჩნდა და სანამ ფირი გვეყო, ფურცელ-ფურცელ მუქთად ვიღეთ ეს 285000-დოლარიანი შეუვალი ხელნაწერი“.*

და რა წიგნია ეს?

**წიგნის პალიმფსესტური ფურცლები ინახავს ტექსტებს ქრისტიანულ-პალესტინურ, არამეულ და ქართულ ენებზე. პირველადი ტექსტი V-VII საუკუნის ბოლოა, ხოლო იოანე-ზოსიმეს მიერ პირადად დაწერილი ზედა ტექსტი ზუსტად 979 წლით თარიღდება.**

**ხელნაწერი შეიცავს სახარებების ყველაზე ადრეულ ტექსტურ დამოწმებებს არამეულის უახლოეს დიალექტზე. ეს დიალექტი ყველაზე ახლოსაა იმ ენასთან, რომელზეც იესო ლაპარაკობდა და რომელიც შედგენილია წმინდა მიწაზე დაფუძნებული ცოცხალი ტრადიციის ფარგლებში.**

ცხადია, ეს არის ერთ-ერთი უნიკალური და უძველესი განძი საქართველოს ისტორიისა! **და სწორედ ეს განძი აჩუქა ბიძინა ივანიშვილმა საქართველოს!**

დიახ, სწორედ **ბიძინა ივანიშვილმა შეიძინა იოანე-ზოსიმეს უნიკალური და უძველესი ხელნაწერი ქვეყნისთვის საჩუქრად**, ისევე, როგორც სწორედ **ბიძინა ივანიშვილმა სამშობლოში გაწეული ქველმოქმედებისთვის** ათ მილიარდზე მეტი დახარჯა დღემდე!

აბა, რატომ დუმხართ ჩასაფრებულო სვავებო?

**სააკაშვილის მიერ დოქტორ დოტისთვის გადაყრილი ფინანსები გაგახსენდათ და სათქმელს ვერ მოაბით თავი?**

**კეზერაშვილის მიერ გაძარცვული ქართული ჯარი გაგახსენდათ და შეგრცხვათ?**

**მამუკა ხაზარაძის მევახშეობით გაუბედურებული ოჯახები დაგიდგათ თვალწინ და ნამუსმა შეგაწუხათ?**

მეტი არაა ჩემი მტერი...

აგერ, საღამოს პირს, ე.წ. „ტვპირველზე”, **დიანა ტრაპაიძეს ნიკა გვარამია** ჰყავდა სტუმრად, როდესაც **ტრაპაიძის მიერ გაჟღერებულ ინფორმაციას გვარამიას ღიმილი მოჰყვა და მეტი არაფერი.**

კი, მხოლოდ ღიმილი, იქედნური ჩაცინება და არანაირი მადლობა, არანაირი ემოცია და აღფრთოვანება არ გამოუხატავს...

მხოლოდ ინფორმაციის დონეზე გაჟღერდა ამბავი. აბა, ქართულ ღვინოში ჩაფსმაზე მიმდგარიყო საქმე, თუ შეიკავებდა გვარამია თავს?!

ესაა თქვენი სახე, ბატონებო და ქალბატონებო!

ესაა თქვენი პოზა — ჩასაფრებული და ბოღმიანი...

●

არადა, დღის და კვირის ამბავი კი არ მოხდა, — **საუკუნეებს რომ გაჰყვება, ის გააკეთა ბიძინა ივანიშვილმა იოანე-ზოსიმეს ხელნაწერის შეძენით და ეროვნული მუზეუმისთვის ჩუქებით!**

დიახ, საუკუნეებს გაჰყვება და **საბედნიეროდ, საქართველოში არ არიან ბევრნი გვარამიები, ხაზარაძეები, გირჩები, ბოკუჩავები და მისტერ კეზერაშვილები, რომლებიც იქედნური ღიმილით დასცინებენ ქველმოქმედებას და სამშობლოს საკეთილდღეოდ გადადგმულ ნაბიჯებს.**

ნებისმიერ არჩევნებს რომ გადაფარავს და ნებისმიერი ევროპარლამენტარის შურით და ანგარებით გაჟღენთილ განცხადებას რომ გადაფარავს, ის მოხდა დღეს!

ვულოცავ სრულიად საქართველოს, ღირსეულ საქართველოს და იოანე-ზოსიმეს ხელნაწერის მნიშვნელობის მცოდნე საქართველოს ამ დიდებულ ამბავს, თორემ **გიორგი ვაშაძე** და **ნიკა მელია** რომ ვერასდროს ვერ მიხვდებიან ამ აუქციონზე გამოსყიდული უნიკალური ხელნაწერის ფასს, ისედაც ვიცით და შევეგუეთ უკვე, კაი ხანია...

და რაც მთავარია, მადლიერების გრძნობა არ უნდა დავკარგოთ და **უდიდესი მადლობა უნდა ვუთხრათ კაცს, რომელმაც ის ნაბიჯი გადადგა, რომლის მსგავსითაც, აგერ უკვე, მეოთხედ საუკუნეზე მეტია, ანებივრებს საქართველოს და ქართული კულტურის თითოეულ მოამაგეს!**

**მადლობა ბიძინა ივანიშვილს საუკუნოვანი საჩუქრისთვის!**

**გიორგი მამაცაშვილი**

# თავის მოტყუების სინდრომი - ახალი ერთიანი ნაციონალური ეპიდემია

## ეთეიმურაზ ქურდიძე:

ალბათ არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ მსოფლიო მასშტაბით გასული კვირის უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო ევროპარლამენტის არჩევნები. ვფიქრობ, ამის თაობაზე ცნობილ და პოპულარულ პოლიტოლოგს, ბატონ **ირაკლი გოგავას** დავესესხო. მით უფრო, ჩვენი მოსაზრებები ამ საკითხზე ერთმანეთს სრულად ემთხვევა.

●

მაშ ასე, ბატონი ირაკლის აზრით, **გლობალური ომის პარტიის მთავარმა სახეებმა ევროპაში, ემანუილ მაკრონმა და ოლაფ შოლცმა, დამამცირებელი მარცხი განიცადეს.** საფრანგეთში ოპოზიციურმა მემარჯვენე პარტიამ ორჯერ მეტი ხმა მიიღო, ვიდრე მაკრონის მმართველმა კოალიციამ - **მარინ ლე პენის „ეროვნული ფრონტი“ 31,36%, მაკრონის კოალიცია 14,6%.** ამის გამო **მაკრონმა პარლამენტი დაითხოვა და 7 ივლისამდე ახალი არჩევნები დანიშნა.**

გერმანიის კანცლერ **ოლაფ შოლცის სოციალ-დემოკრატებმა ხმების 13,9%-ით საპატიო მესამე ადგილი მოიპოვეს.**

შესაბამისად, როზა ლუქსემბურგის, კარლ ლიბკნეხტის, ფრიდრიხ ებერტის, ვილი ბრანდტის ოდესღაც ძლევამოსილ პარტიას (ერთადერთი, ვინც თავის დროზე ხმა არ მისცა ჰიტლერის კანცლერად არჩევას!) 2025 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე სხვა ლიდერი ეყოლება.

**მნიშვნელოვანია უნგრელი ვიქტორ ორბანის წარმატება.** მიუხედავად შიდა ღალატისა (მისი ერთ-ერთი მინისტრის ქმარმა ცოლი ფარულად ჩაიწერა, ჩანაწერები გამოაქვეყნა და შემდეგ ოპოზიციური პარტია შექმნა, რომელმაც ხმების თითქმის 30% მოიპოვა), **ორბანმა მოკავშირე პარტიასთან ერთად 53%-იანი მხარდაჭერა მიიღო.**

ავსტრიაში პირველ ადგილზე მემარჯვენე **„თავისუფლების პარტია“** გავიდა. ეს ის პარტიაა, რომლის ლიდერი **იორგ ჰაიდერი** მოგებული არჩევნების მიუხედავად ჯერ ავსტრიის კანცლერად არ დაანიშნინეს, შემდეგ პარტიიდანაც განდევნეს და ბოლოს ავტოავარიაში დაიღუპა.

**ბელგიის** საპარლამენტო და ევროპარლამენტის არჩევნებში სრული წარუმატებლობის შემდეგ, **თანამდებობიდან გადადგა ქვეყნის ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი და პრემიერ მინისტრი ალექსანდერ დე კროო.**

საბოლოოდ, **მემარჯვენე პარტიებმა წარმატებას მიაღწიეს საფრანგეთში, გერმანიაში, ავსტრიაში, უნგრეთში, იტალიაში, საბერძნეთში, ბელგიაში, ჰოლანდიაში, ბულგარეთში, რუმინეთში, პოლონეთში, ჩეხეთში, სლოვენიაში, ხორვატიაში...**

●

ახლა მნიშვნელოვანია, როგორი უმრავლესობა ჩამოყალიბდება ევროპარლამენტში. წინასწარ რაიმეს ზუსტი პროგნოზი ძალიან ძნელია, რადგან ევროპის პარლამენტში ბევრი ახალი წევრი იქნება. აქ საქართველოს ხელისუფლებამ უნდა იყოჩაღოს და აქტივობა ორი მიმართულებით დაგეგმოს: ევროპარლამენტის დეპუტატების და მათი თანაშემწეების გაცნობითი ვიზიტების ორგანიზება საქართველოში; ევროპის დედაქალაქებში საექსპერტო შეხვედრების სერია იმ პირებთან, ვინც პოლიტიკოსებს გადაწყვეტილებებს უმზადებს და ჩვენი რეგიონის ანალიზი ევალება. ვფიქრობ, ეს აქტივობა პოლიტიკოსების ჩაურევლად, ანუ არაპოლიტიკოსი სპეციალისტების მონაწილეობით უფრო ეფექტური იქნებოდა.

●

გასულ კვირაში აშშ-მ და ევროკავშირმა სანქციები დაუწესა მოსკოვის სავალუტო ბირჟას. მანამდე, როგორც ცნობილია, რუსეთმა დასავლეთს რუსული ენერგეტიკული საქონლის საერთაშორისო ვალუტით შეძენა აუკრძალა - მხოლოდ რუბლით შესყიდვის უფლება დაუტოვა. ამ ახალი სანქციების შედეგების თუნდაც მიახლოებით გამოცნობა რთული და უმადური საქმეა. მით უფრო, პუტინის ქმედებების პროგნოზირება თვით პუტინისთვისაც კი თითქმის შეუძლებელია. ცხადია ერთადერთი რამ და ამას ყველა სპეციალისტი აღიარებს - სანქციებით ვითარების გასასტიკება საერთაშორისო მასშტაბით კარგს არაფერს მოიტანს და, ბუნებრივია, მათ შორის - საქართველოსთვისაც.

●

გასული კვირის ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა გახლდათ უკრაინის აღდგენის მხარდაჭერისადმი მიძღვნილი ევროპის ქვეყნების მეთაურების შეხვედრა. **ქართულ მარადიულ ოპოზიციას, ბუნებრივია, არ გახარებია და არც უხსენებია, რომ ამ შეხვედრაზე საქართველოს პრემიერი ირაკლი კობახიძეც იყო მიწვეული; რომ იგი სიტყვითაც გამოვიდა, საქართველო-უკრაინის ურთიერთობებზე, უკრაინისადმი საქართველოს მხარდაჭერაზე საკმაოდ დაწვრილებით ისაუბრა, ევროპელ ლიდერებს და პირადად პრეზიდენტ ზელენსკისაც შეხვდა.** უკრაინის აღდგენაზე საუბარი, იცოცხლეთ, დროული, შესანიშნავი და კეთილშობილურია, მაგრამ რაღაც ძალიან ჰგავს ბლეფს - უკრაინის ტერიტორიის თითქმის ერთი მესამედი განადგურებული და ოკუპირებულია, უკრაინის მოსახლეობის ნახევარი ქვეყნიდან გადახვეწილია, საომარ მოქმედებებს ბოლო არ უჩანს და ჩვენი კეთილშობილი ევროპელი მეგობრები ამ უკრაინის აღდგენაზე ისე საუბრობენ, არამეგობარ რუსეთს, საერთოდ, არც ახსენებენ.

ამ თვალსაზრისით, გასული კვირის მიწურულს საინტერესო განცხადება გააკეთა **ვლადიმირ პუტინმა.** მან დაადასტურა უკრაინასთან სამშვიდობო მოლაპარაკებებისთვის მზადყოფნა, ოღონდ, „მარტივი პირობებით“: **„უკრაინის ჯარები სრულად უნდა გაიყვანონ დონეცკისადა ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკებიდან, ხერსონისა და ზაპოროჟიეს რეგიონებიდან. როგორც კი კიევში განაცხადებენ, რომ მზად არიან ასეთი გადაწყვეტილების მისაღებად, დაიწყებენ ჯარების რეალურ გაყვანას ამ რეგიონებიდან და ნატოში გაწევრიანების გეგმებზე უარს ოფიციალურად განაცხადებენ, ჩვენი მხარე დაუყოვნებლივ გასცემს ცეცხლის შეწყვეტისა და მოლაპარაკებების დაწყების ბრძანებას“.**

*(ვერაფერს იტყვი, ნამდვილი რუსული დიპლომატიის კლასიკური ნიმუშია).*

●

**„თვალს ვადევნებთ ერევანში აქციებს, მოვუწოდებთ მომიტინგეებს, შეკრების თავისუფლება პასუხისმგებლობით, ძალადობისგან თავის შეკავებით გამოიყენონ,“** - ეს მეზობელ და მეგობარ სომხეთში აშშ-ს საელჩოს 13 ივნისის განცხადებაა. იგი სულაც არ იქნებოდა საინტერესო, რომ არა ერთი მცირე ნიუანსი - **თბილისში მიმდინარე ორთვიანი უკიდურესად აგრესიული აქციების მონაწილეთა მისამართით ამერიკის საელჩოს მსგავსი არაფერი მოუწოდებია!**

*(აქაც ვერაფერს იტყვი, ნამდვილი ამერიკული დიპლომატიის კლასიკური ნიმუშია).*

შეგახსენებთ, რომ თითქმის ორი თვეა ერევანში აზერბაიჯანთან საზღვრის ცალმხრივ სადემარკაციო დათმობებს აპროტესტებენ. ვითარება განსაკუთრებით გამწვავდა 12 ივნისს. პოლიციასთან დაპირისპირების შედეგად დაშავებულია 101 ადამიანი, მათ შორის, პოლიციელები. დაკავებულია 98 ადამიანი.

●

ოპოზიციის კატეგორიული წინააღმდეგობის მიუხედავად, გასულ კვირაში საქართველოს პარლამენტმა როგორც იქნა დაამტკიცა კანონი **„ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის“** შესახებ. **ამ კანონით ოჯახი მხოლოდ ქალის და მამაკაცის კავშირია, შვილად აყვანა მხოლოდ ტრადიციული ორიენტაციის ოჯახებს შეეძლება, აიკრძალება ლგბტ პროპაგანდა, დოკუმენტური და ქირურგიული გზით სქესის შეცვლა, მედიაში შესაბამისი სცენების ჩვენება, მანიფესტაციებით ერთსქესიანთა ურთიერთობების პოპულარიზაცია ...**

საქართველოს ისტორიიდან, ქართული ადათ-წესებიდან გამომდინარე, თითქოს საკამათო არაფერი უნდა იყოს, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამით საქართველოს ხელისუფლება, მთლიანად მოაზროვნე საქართველო აშკარად დაუპირისპირდა ე.წ. ლიბერალ-გლობალისტების მსოფლიო სექტას და მათ წარმომადგენლობას საქართველოში.

თანამედროვე ლიბერალიზმი არის ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან ე.წ. **„ფრანკფურტის სკოლის“** მიერ შემუშავებული მეცნიერული ტექნოლოგია, რომელიც მიზნად ისახავს პატრიოტიზმისა და ოჯახური ღირებულებების ატროფიას, ეკლესიური გავლენის შესუსტებას, სახელმწიფოებრიობის გრძნობის გაქრობას, საზოგადოების გარყვნას და, საბოლოოდ, ამ საზოგადოებაზე, მთლიანად სახელმწიფოზე კონტროლის დამყარებას. როგორც წესი, მისი ძირითადი სამიზნე ახალგაზრდობაა. განსაკუთრებით, ეს ეხება ახალგაზრდობის მდედრობით ნაწილს. გადახედეთ ქართული მოპროტესტე არასამთავრობო ორგანიზაციების პირად შემადგენლობას - მათი 80 პროცენტზე მეტი ქალია და სწორედ ლინებიან თანამედროვე ლიბერალ-გლობალისტების მთავარ სამიზნედ და მათი ინტერესების გამტარებლად.

●

12 და 13 ივნისს პარლამენტის წინაშე ანგარიშით წარსდგნენ ქვეყნის **უშიშროების სამსახურის უფროსი** და **განათლების მინისტრი**.

ორივე ანგარიშმა შედარებით მშვიდობიანად, საინტერესოდ, ექსცესების გარეშე ჩაიარა.

განსაკუთრებით მრავლისმთქმელი იყო უშიშროების სამსახურის უფროსის მინიშნება - **ყველაფერი ვიცით, ყველაფერს ვხედავთ და უახლოეს მომავალში ჩვენი დაკვირვება-აღმოჩენების შედეგებსაც**

**გაგაცნობთო.** შეგახსენებთ, რომ **ლილუაშვილი** გულისხმობდა ოპოზიციის მოწოდებებს სახელმწიფო გადატრიალებისკენ, პარლამენტის შენობაში შეჭრისა და დროებითი მთავრობის შექმნის მცდელობებს, ოპოლიდერების საეჭვო უცხოურ ვიზიტებს და ა. შ.

საპარლამენტო სხდომებს ბოიკოტის გამო არ ესწრებოდნენ რადიკალური ოპოზიციის წარმომადგენლები. ეს არ გახლავთ პირველი შემთხვევა, როცა ოპოზიცია უარს აცხადებს საპარლამენტო მუშაობაზე.

**სწორედ ამაზე მინდა ვუთხრა ორიოდე სიტყვა ბეგობარ ოპოზიციას - თქვენი იქ ყოფნით პარლამენტს არც რამე შეემატება და არყოფნითაც ბევრი არაფერი დააკლდება.**

უბრალოდ, ერთი რამ არის საკითხავი - თუ მიტინგებისა და ოპოტელევიზიების გარდა არსად გამოჩნდებით, არავითარი საჭირბოროტო საკითხის განხილვაში მონაწილეობას არ მიიღებთ, ამომრჩევლების ხმების მოპოვებას როგორღა აპირებთ? თქვენი ახალი ლიდერი ლედი **თინა** მაინც გამოაჩინეთ და თქვენს ერთგულ ამომრჩეველს მისი ბრძნული, გაწონასწორებული გამოსვლები მოასმენინეთ! (სიბერეს რა ვუთხარ - **მგონი, თინა ბოკუჩავა მარგარეტ თეტჩერში ამერია...**).

●

გასულ კვირაში მსოფლიო კიდევ ერთხელ შეაზანზარა **ფანჩატურ-შალვას** განცხადებამ, ქოცურ ხელისუფლებას ამერიკიდან სანქციები მე ჩამოვუტანე, სანამ დროა, ბარგი აკრიფონ და ხელისუფლებიდან მოკურცხლონ, თორემ საცაა გავპრემიერმინისტრდები და მერე ამას ვეღარ მოასწრებენ, ყველას მაშინვე პირდაპირ ციხეში გავაქანებო.

გაგიკვირდებათ და, თვით თეთრი სახლის თავის ჭკუაზე მათამაშებელი **შალიკოს** ამ მრისხანე მუქარამ საქართველოს დასანქცირებულ-დავეტოებული ხელისუფლება შეაშინა და დააფიქრა კი არა, მგონი, ანგლობის ხასიათზე დააყენა.

●

სამაგიეროდ, ხელისუფლებაც, ოპოზიციაც, მიუმხრობელი და თვით გირჩული მენტალიტეტის ამომრჩეველიც კი გააოცა კარგა ხანია გზას აცდენილი და ბავშვურ ასაკს გაცდენილი (2 თებერვალს 57 წელი შეუსრულდა) **გუბაზ სანიკიძის** მუქარამ პოლიციისადმი - **ხელისუფლების სათავეში ჩვენი მისვლისთანავე ბევრი თქვენგანი ციხეში წავა, უფრო მეტი კი - სახლში, სამსახურს დაემშვიდობებაო.** ხელისუფლებაც „დააბულინგა“ - **თუ დროზე სახლებში არ წახვალთ, ორლულიანი თოფებით შევიარაღდებით, ქუჩაში გამოგიცვივდებით და ყველას სულს გაგაფრთხობინებთო!**

საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების მოიმედე სოლიდური პარტიის ერთ-ერთი მთავარი „სახე“ არჩევნებამდე ოთხი თვით ადრე ქვეყნის ყველაზე მრავალრიცხოვანი სამართალდამცავი სისტემის თანამშრომლებს სამსახურებიდან დათხოვნითა და ციხეში გასტუმრებით ემუქრება!

ანუ, სულ რაღაც რამდენიმე წამში მშობლიურ პარტიას, ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, ასეულ ათასობით მოწინააღმდეგეს მატებს!

**თუ მძიმე ბატონი გუბაზი ამას დაუფიქრებლობის გამო და საკუთარი უკიდეგანო სიმამაცის სადემონსტრაციოდ აკეთებს, უბრალოდ, ბრიყვია.**

**მაგრამ თუ საქმე შეგნებულ, გააზრებულ ქმედებასთან გვაქვს, მაშინ მას მშობლიური პარტიის მოღალატის, დაქირავებული პროვოკატორის იარლიყი ნამდვილად არ ასცდება.**

ბოლოს, ერთი პატარა რჩევა ბატონ გუბაზს (იმედია, საჰაერო-სადესანტო არმიის ყოფილი ოფიცრისგან არ ეწყინება): პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებზე სანადიროდ ორლულიანს ერთლულიანი, ნახევრად ავტომატური სანადირო თოფი აჯობებს - უფრო მსუბუქია და ხუთ ვაზნასაც ისვრის.

**სამწუხაროდ, სანიკიძე არ არის ერთადერთი, ვინც ქართველ მოქალაქეებს ანტისახელისუფლებო აგრესიისკენ მოუწოდებს და ამას ასრულებს კიდეც.** ამის კლასიკური მაგალითია ამაზრზენად ცილისმწამებლური სიტყვიერი და ფიზიკური თავდასხმები **ბექა ოდიშარიაზე, მამუკა მდინარაძეზე, ირაკლი ზარქუაზე, რატი იონათამიშვილზე, მარიამ ლაშხზე, ნინო წილოსანზე, ელისო ბოლქვაძეზე...**

ამავე დროს, უცნობმა პირებმა დღისითმზისით თბილისის ქუჩაში უმოწყალოდ სცემეს თავისი ბოიკოტური მოღვაწეობით სახელგანთქმული შეურიგებელი ოპოხულიგანი „პოლიტიკოსი“ **ნიკა მანაგაძე.**

დიახ, თავისი აშკარად ანტისაზოგადოებრივი ქუჩური „მოღვაწეობით“ არც მთლად უბირმა (თუ მის მიერ მშობელი დედის საჯაროდ უარყოფას არ გავითვალისწინებთ) ნიკამ, სავარაუდოდ, მოყვარეზე მეტი მტერი შეიძინა, მაგრამ მის მიმართ ქუჩური ანგარიშსწორება კატეგორიულად არ შედის ხელისუფლების ინტერესებში.

**დიდი ალბათობით, მისი ცემის ბრძანება (ხელისუფლების სახელის გასატეხად) ნაცმოძრაობის რეალურად მმართველი ელიტიდან უნდა მოდიოდეს.**

არა, არც **ხაბეიშვილს** ვგულისხმობ, არც **თინა ბოკუჩავას** და არც „მიშა-ვივამედისა“ და მსოფლიო სტომატოლოგიის მფარველ ანგელოზ **სოფო ჯაფარიძეს**.

ვგულისხმობ ნაცების რეალურ მბრძანებელს, რომლის ვინაობასაც ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე ალბათ აუცილებლად შევიტყობთ.

●

გასული კვირის მიწურულს ცნობილი გახდა, რომ „საერთაშორისო დემოკრატიული ინსტიტუტი“ (NDI) ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში ოპოზიციონერი ქალი დეპუტატების საარჩევნო კამპანიას დააფინანსებს.

თუ მეხსიერება არ მღალატობს, ამ კეთილშობილ საერთაშორისო ორგანიზაციას საქართველოში ბევრი სიკეთე უკეთებია, მათ შორის, არჩევნების დაფინანსებაშიც მიუღია მონაწილეობა, სადამკვირვებლო მისიაც წარმატებით შეუსრულებია. მით უფრო გასაკვირია მისი ეს ცოტა უცნაური გადაწყვეტილება - თუ ქალი დეპუტატობის კანდიდატების დაფინანსება გინდა, კი ბატონო, დააფინანსე, მაგრამ ასეთები ხომ სახელისუფლებო პარტიასაც ჰყავს. **როგორ დავიჯერო, რომ NDI-ს ხელმძღვანელობა სალომე სამადაშვილის და ელენე ხოშტარიას მომხიბვლელობამ დაბრმავა!**

●

დაბრმავებამ გამახსენა: გასული კვირის განმავლობაში ხელისუფლებისა და საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლებისგან უამრავი საყვედური გაისმა პრეზიდენტ **ზურაბიშვილისადმი,** რომ მან არ გაითვალისწინა მათი ოფიციალური მიმართვა და ევროპის ჩემპიონატში მონაწილე ქართველი ფეხბურთელების, მწვრთნელებისა და ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლების ღირსების მედლით დაჯილდოება გაურკვეველი დროით გადაავადა.

**„გუბაზ სანიკიძე არ არის ერთადერთი, ვინც ქართველ მოქალაქეებს ანტისახელისუფლებო აგრესიისკენ მოუწოდებს და ამას ასრულებს კიდეც.** ამის კლასიკური მაგალითია ამაზრზენად ცილისმწამებლური სიტყვიერი და ფიზიკური თავდასხმები **ბექა ოდიშარიაზე, მამუკა მდინარაძეზე, ირაკლი ზარქუაზე, რატი იონათამიშვილზე, მარიამ ლაშხზე, ნინო წილოსანზე, ელისო ბოლქვაძეზე...“**

პრეზიდენტმაც „ბრალმდებლებს“ დაუყოვნებლივ უპასუხა - ფეხბურთელებს თქვენზე ნაკლებ არ ვაფასებ, მათ დამსახურებასაც კარგად ვხედავ და... მათ დაჯილდოებას ოქტომბრის ბოლოს ვაპირებო.

საბოლოოდ, ჯილდოების გაცემა მაინც გადაწყვიტა, მაგრამ პარლამენტის მიერ წარდგენილი სიიდან, ყოველგვარი განმარტებადასაბუთების გარეშე, რამდენიმე კანდიდატი ამოიღო!

**ეეჰ, ქალბატონო პრეზიდენტო, ჯერ ერთი, ყველაფრის გაპოლიტიკურება ნამდვილად არ გარგებთ და თანაც, თქვენს ამგვარ საქციელს მშობლიურ ქიზიყში ვირეშმაკობას ეძახიან.**

●

ნამდვილად არ გაგიკვირდებათ და, გასულ კვირაში ქალბატონმა პრეზიდენტმა „აჩერედნი“ ვეტო (უკვე მეცხრედ!) დაადო „საარჩევნო კოდექსში“ განხორციელებულ ცვლილებებს, რომლითაც ცესკოს გადაწყვეტილებების მისაღებად საჭირო 2/3-იანი კვორუმი სრული შემადგენლობის უბრალო უმრავლესობამდე მცირდება.

●

მსოფლიო არენაზე მიმდინარე უმწვავესი პოლიტიკური, კულტურული, ეკონომიკური, სამხედრო თუ სპორტული მოვლენების მიუხედავად, **საქართველოში უზარმაზარი აჟიოტაჟი გამოიწვია ბიძინა ივანიშვილის მიერ ლონდონის „კრისტის“ აუქციონზე ბერი იოანე ზოსიმეს მიერ მეათე საუკუნეში გადაწერილი უნიკალური, ლეგენდად ქცეული და მრავალი საუკუნეა მიუწვდომელი ხელნაწერის შესყიდვამ და მისი საქართველოს ხელნაწერთა მუზეუმისთვის გადაცემამ.**

ქართული კულტურისთვის ამ წიგნის (პალიმფსესტი) მნიშვნელობაზე საუბარი შორს წაგვიყვანს. ამის თაობაზე მომავალში ბევრი ითქმება და დაიწერება. მხოლოდ ერთ უცნაურობაზე მოგახსენებთ.

აღფრთოვანებული და კომპეტენტური გამოხმაურებების გარდა, **ინფორმაციას ამ უნიკალური შენაძენის შესახებ ოპოზიციის მხრიდან დაუყოვნებლივ მოჰყვა ცინიკური და ცილისმწამებლური კომენტარები ბიძინა ივანიშვილის მისამართით.** რაც მთავარია, იყო მისი ამ კეთილშობილური გადაწყვეტილების პოლიტიკასთან დაკავშირების უსუსური მცდელობებიც. როგორც ჩანს, ჩვენს ოპოზიციას არ ჰყავს ვინმე გონიერი მრჩეველი, ვინც ასეთი სულელური კომენტარებისაგან თავის შეკავებისკენ მოუწოდებდა.

●

გასულ კვირაში ცნობილ ქართველ მწერალს, რეჟისორსა და სცენარისტს **მერაბ ელიოზიშვილის** დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდა. 62 წლის ასაკში უარი თქვა საერო ცხოვრებაზე და მისი უწმინდესობის, საქართველოს კათალიკოს პატრიარქის, **ილია მეორის** კურთხევით საეკლესიო ცხოვრებას შეუერთდა. გარდაიცვალა 2012 წელს.

ერთი უცნაურობა რომ არა, უპრიანი იქნებოდა ამ მართლაც შესანიშნავ ადამიანზე საუბარი აქ დამესრულებინა. საქმე ის არის, რომ ქართველი ტელეწამყვანები **მერაბ ელიოზიშვილს (კიდევ ერთხელ ქედს ვიხრი მისი ხსოვნის წინაშე!)** ასე მოიხსენიებენ - „უდიდესი ქართველი მოღვაწე“.

არ გეგონოთ ვინმესთვის ჭკუის დარიგებას ვაპირებდე, უბრალოდ, მაინტერესებს, თუ მერაბ ელიოზიშვილი „უდიდესი ქართველი მოღვაწეა“, რა ეპითეტებით შეამკობდით, მაგალითად, **გრიგოლ ხანძთელს, იოანე ზოსიმეს, შოთა რუსთაველს, ვაჟა-ფშაველას, ილია ჭავჭავაძეს, ექვთიმე თაყაიშვილს, ნიკო ნიკოლაძეს, ივანე მაჩაბელს, იაკობ გოგებაშვილს, ივანე ჯავახიშვილს...**

●

გასულ კვირაში, 14 ივნისს დაიწყო ჩვენთვის მართლაც ისტორიული ევროპის ჩემპიონატი ფეხბურთში. **მთელი საქართველო მხურვალედ გულშემატკივრობს საქართველოს ნაკრებს, რომელიც ასეთი რანგის შეჯიბრში პირველად მონაწილეობს.**

**წარმატებები, ბიჭებო, საქართველო თქვენს გვერდითაა!**

## ნანა დევდარიანი:

# საერთაშორისო ჟურნალისტთა ფედერაციაში უნდა აღდგეს ჩვენი ფედერაციის წევრობა!

***საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციაში განხორციელებულ ცვლილებებზე და ასევე, სამომავლო გეგმებზე საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის პრეზიდიუმის წევრს, ჟურნალისტ ნანა დევდარიანს*** *ვესაუბრეთ:*

– ზოგადად ეს არის ორგანიზაცია, რომელიც, პირველ რიგში, ზრუნავს ჟურნალისტების უფლებებზე, იცავს მათ, გამოიმუშავებს კოლექტიურ წესებს, რომლებსაც მერე თავადვე ემორჩილება. ადრე, საბჭოთა პერიოდში რომ იყო მწერალთა კავშირი, ჟურნალისტთა კავშირი, ამას მხარს უჭერდა სახელმწიფო.

მე თუ მკითხავთ, თუ საბჭოთა წყობაში რაღაც ცუდი იყო, უნდა გადაგვეგდო, მაგრამ რაც კარგი იყო, ალბათ, უნდა შეგვენარჩუნებინა და მათ შორის ის, რომ სახელმწიფო კი არ ერეოდა, არამედ შეძლებისდაგვარად მხარს უჭერდა და ეხმარებოდა ასეთ ორგანიზაციებს. თუმცა, იყო ცუდი პრეცედენტებიც, როდესაც ასეთი პროფესიული გაერთიანებები გამოიყენებოდა პოლიტიკური მიზნებით.

30 წელზე მეტია, სულ სხვა რეალობაში ვცხოვრობთ, თუმცა სახელმწიფო რომ არ ერევა და არ იყენებს, ერთია, მაგრამ საერთოდ რომ არ იღებს არანაირ მონაწილეობას ასეთი გაერთიანებების მოღვაწეობასა და საქმიანობაში, რა თქმა უნდა, ეს მთლად სწორად არ მიმაჩნია.

**– ფედერაციის ახალი თავმჯდომარის ინიციატივით, საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებით კავშირს სახელი შეეცვალა და „საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაცია“ ეწოდა, როგორც ოცდაერთი წლის უკან იყო...**

– სხვათაშორის, თავმჯდომარის რამდენიმე კანდიდატურაზე იყო ლაპარაკი და ძალიან კარგია, რომ საბოლოოდ გიორგი მამაცაშვილზე შეჩერდა არჩევანი.

ჯერ ერთი, ახლა გიორგის ოქროს ასაკი აქვს, არც ისეთი ახალგაზრდაა, რომ ამიერიდან რაღაც ისწავლოს ამ პროფესიაში და არც ისეთი წლებით დახუნძლულია, რომ თამამი ნაბიჯების გადადგმა გაუჭირდეს. გიორგის უბრალოდ კარგი პროფესიული წარსული კი არა აქვს მხოლოდ, მოქალაქეობრივად სწორი პოზიცია მოჰყვება სტუდენტობის პერიოდიდან და მე იმ პერიოდიდან ვიცნობ გიორგის.

ჩვენთან ხომ ზოგადად რევანშიზმი უყვართ... პირველი, რაც მან გააკეთა, არ დაუშვა ის, რომ ყოფილიყო რევანში, ყოფილიყო ანგარიშსწორება წინა შემადგენლობასთან...

ერთიცაა: არასდროს მიყვარდა წარსულის განქიქება და მით უმეტეს, წინამორბედზე ნეგატიური აზრის გამოხატვა, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება – ჟურნალისტთა კავშირი მივიდა იმ კონდიციამდე, რომ კავშირის მიღმა აღმოჩნდნენ ამ პროფესიის ყველაზე ღირსეული წარმომადგენლები. ისეთი ადამიანები არ ირიცხებიან ყოფილ ჟურნალისტთა კავშირში და ჯერჯერობით ფედერაციაში, რომ შეიძლება გაოცდეთ. ის ადამიანები, რომლებმაც ამ პროფესიას წონა შესძინეს. უპირველესი ამოცანაა და ამაზეა უკვე მუშაობა დაწყებული, რომ ყველა ღირსეული წევრი უნდა აღდგეს ფედერაციაში, როგორც მისი ნამდვილი წევრი. ეს საკმაოდ შრომატევადი პროცესია.

მე მაინც მგონია, რომ ეს იყო შეგნებული პროცესი, რადგან „ნაციონალური მოძრაობის” დროს როგორც ინსტიტუტები დაიხურა, ასევე ყველანაირად ეცადნენ ასეთი გაერთიანებების ნიველირებას ან ხელში ჩაგდებას...

**– როგორც ვიცი, ამ მიმართულებით დაწყებულია მუშაობა...–**

– ძალიან ბევრი მიმართულებაა. მაგალითად, ფედერაციას უნდა ჰქონდეს თავისი პერიოდული გამოცემა, რაც, რა თქმა უნდა, ფინანსებთან არის დაკავშირებული და ეს ფინანსები მოსაზიდია.

დღეს ყველას შეუძლია დაირქვას ჟურნალისტი. ორ აბზაცს დაწერს სოციალურ ქსელში და უკვე საკუთარ თავს ჟურნალისტს ეძახის. პროფესიული განათლება და ცოდნა ნაკლებადაა. ფედერაციამ უნდა მოახერხოს და სულ მცირე, შემჭიდროებული ტრენინგები მაინც ჩაუტაროს ახალგაზრდა ჟურნალისტებს. თუ რაღაც მთლიან და სრულ კურსს ვერ დაფარავს, შემჭიდროებული ტრენინგები მაინც... სახელმძღვანელოსავით პროდუქცია უნდა იბეჭდებოდეს, სადაც ელემენტარულად განმარტებული იქნება კონკრეტული საკითხები.

მაგალითად, ჟურნალისტს, რომელიც პოლიტიკურ საკითხებზე მუშაობს, ელემენტარული ცოდნა ხომ უნდა ჰქონდეს?!

რა თქმა უნდა, ასეთ ტრენინგებზე მოწვეული უნდა იყვნენ კვალიფიციური ექსპერტები, რომლებიც ძირითად საფუძველს მისცემენ ახალგაზრდა ჟურნალისტებს. ზოგადად კი ჟურნალისტის ეთიკაზე ცალკე მძიმე სალაპარაკოა, რადგან ჩვენთან ჩამოყალიბდა მკვეთრად პოლიტიკურად ორიენტირებული მედიასაშუალებები. ვითომ კრიტიკული მედია ჰქვია, მაგრამ კრიტიკული მედია კი არ არის, არამედ მთლიანად რომელიღაც პოლიტიკურ ძალაზეა ორიენტირებული და დაუფარავად ატარებს მის ინტერესებს. ანუ, ჩვენ რასაც ვსწავლობდით ოდესღაც, რა არის თავისუფალი მედია, როგორ უნდა იმოქმედოს ჟურნალისტმა, ეს ყველაფერი თითქოს გადაყარეს სადღაც. არავის აღარ სჭირდება და ეს ასე არ უნდა ხდებოდეს. მედია უნდა იყოს სანდო.

ბოლო მაგალითი კმარა მარტო. იოანე ზოსიმეს ხელნაწერის ყიდვა და ჩამოტანა რამხელა ამბავია, ხომ?! ეს ხომ არ არის მხოლოდ მატერიალური კულტურის ძეგლი?!

ეს გარკვეულწილად საკრალურ მნიშვნელობასაც იძენს, მითუმეტეს, მორწმუნე ადამიანებში.

ამის ჩამოტანაზე ერთ-ერთი მედიასაშუალება ორი დღე ჯიუტად ამბობდა, რომ უცნობია, ვინ შეიძინა ეს ხელნაწერი „კრისტის“ აუქციონზეო... ხომ არ ბნელა მართლა?!

აღარ არის ახლა ის ეპოქა, „პრავდიდან” რომ გეტყოდნენ რაღაცას და სხვა ინფორმაციას ვერ მოძებნიდი. დღეს, ახლა, ინტერნეტის ეპოქაში ამის კეთება სამარცხვინოა.

სხვათაშორის, ჟურნალისტის პროფესია აღარც არსებობს ჩვენში.

დღეს ჟურნალისტის პროფესიის პრესტიჟია აღსადგენი და ვფიქრობ, რომ ჟურნალისტთა ფედერაციის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია ეს უნდა იყოს.

**– რამდენადაც ვიცი, ჟურნალისტთა ფედერაციაში სტრუქტურული ცვლილებებიც იგეგმება...**

– თავისთავად სტრუქტურულ ცვლილებებს რომ გადამწყვეტი როლი ეთამაშოს სადმე, ნაკლებად ხდება.

ერთი ძველი საბჭოთა ამბავი მახსენდება. ცეკას ბიურო შეიკრიბა, ტელეფონების ქსელი მუშაობს გაუმართავად და რა ვქნათო? რა ვქნათ და მინისტრი შევცვალოთო. ვიღაცას უთქვამს - მინისტრის შეცვლას, სჯობდა, კაბელი შეგეცვალათო. აქაც ასეა, საფუძვლიდან არის დასაწყები.

სტრუქტურულად როგორც დასჭირდება ფედერაციას, რომ უფრო ეფექტიანი იყოს, ისე უნდა დალაგდეს. ეს არ ნიშნავს, რომ დღეს რაღაც გადაწყვეტილება მიიღე და მერე მთელი ცხოვრება ასე იქნება. ცხოვრება გკარნახობს ცვლილებებით და შენ უნდა იყო მუდმივად მზად, რომ ეს ცვლილებები ადეკვატურად აღიქვა და უპასუხო.

**– ძველი „დიდების“ დასაბრუნებლად, ძალიან გრძელი გზა გექნებათ გასავლელი...**

– იმდენი რამეა გასაკეთებელი, ახლა ერთი ნაბიჯი რომ ვთქვა, არ იქნება სწორი. რამდენიმე მათგანი ვახსენე კიდეც, ტრენინგები, ექსპერტებთან შეხვედრები, ახალგაზრდა ჟურნალისტების დაკვალიანება და რაც მთავარია, ღირსეული და ამ პროფესიის მართლა საამაყო წარმომადგენლები დასაბრუნებლები არიან ფედერაციაში. მათ გარეშე უხელ–ფეხო ორგანიზაცია იქნება. ძალიან ბევრი რამ არის გასაკეთებელი. მე ძველი წონის აღდგენაზე მეტად თანამედროვე გამოწვევებზე რეაგირებადი ფედერაცია წარმომიდგენია.

**– ფინანსები გასაგებია, მაგრამ არის ამას გარდა ისეთი საკითხები, რაც ფედერაციაში ვითარებას შეცვლის?**

– მაგალითად, საერთაშორისო ფედერაციაში უნდა აღდგეს ჩვენი ჟურნალისტთა ფედერაციის წევრობა. ჩვენ ვიყავით ადრე წევრები და მერე ყველაფერი რომ მოიშალა, ესეც შეწყდა, ელემენტარულად საწევრო ვერ გადაიხადა ორგანიზაციამ.

სხვადასხვა ასეთივე, ანალოგიურ ევროპულ თუ სხვა ქვეყნებში არსებულ ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობაა აუცილებელი. სხვათაშორის, გიორგის აქვს რამდენიმე მოლაპარაკება დაწყებული და საერთაშორისო არენაზე და ევროპული ქვეყნების საელჩოებთან იმედისმომცემი გეგმები გვაქვს...

ჩვენთან დაივიწყეს, რა არის ჟურნალისტური სტანდარტი და ამ ჟურნალისტური სტანდარტის გარეშე არაფერი გამოვა.

დამთავრდება ეს პოლარიზებული გარემო, ეს მახინჯი პოლიტიკური პრაქტიკა და ის ჟურნალისტები, რომლებიც ბოლომდე ჩაჰყვნენ ამ პოლიტიკურ ჭაობს, ძალიან ძნელად თუ ამოვლენ მერე იქიდან. ალბათ, თვითონაც უნდა იფიქრონ ამაზე. დღეს შენ რომ იძახი, ბიძინა ივანიშვილმა ცა გადაკეტა და ხოხბები დააპატიმრაო და ერთი წლის წინ სხვა არხზე რომ გაქვს ნათქვამი, თუ რა გადასარევ საქმეს აკეთებს ბიძინა ივანიშვილი, ხომ ყველამ ყველაფერი ვიცით და ყველა ვხედავთ ამას, არა?!

ხვალ და ზეგ სხვა ვითარება იქნება, გაჩნდება მოთხოვნა სანდო და ობიექტურ ჟურნალისტიკაზე და ფედერაციის ვალია, ამ პროცესს ხელი შეუწყოს.

> „ბოლო მაგალითი კმარა მარტო. იოანე-ზოსიმეს ხელნაწერის ყიდვა და ჩამოტანა რამხელა ამბავია, ხომ?! ეს ხომ არ არის მხოლოდ მატერიალური კულტურის ძეგლი?! და ერთ-ერთი მედიასაშუალება ორი დღე ჯიუტად ამბობდა, რომ უცნობია, ვინ შეიძინა ეს ხელნაწერი „კრისტის“ აუქციონზეო... ხომ არ ბნელა მართლა?“

> **„სტუდენტობის პერიოდიდან ვიცნობ გიორგის, პირველი, რაც მან გააკეთა, არ დაუშვა ის, რომ ყოფილიყო რევანში, ყოფილიყო ანგარიშსწორება წინა შემადგენლობასთან!“**

REPORTIORI.GE
საინფორმაციო - ანალიტიკური პორტალი

ესაუბრა
**მაია მარგველანი**

◎ ევრო-2024

# ისტორიის კარიბჭესთან

**ხვალ ჩვენი ომია!**

**ხვალ საქართველო-თურქეთია!**

**სხვის ომებშიც გვიბრძოლია, ხვალ კი ნეიტრალურ გერმანიაში უნდა დავიცვათ საკუთარი ღირსება.**

**ნეიტრალური პირობითი მცნეგაა-დორტმუნდის სიგნალ იდუნა პარკი მშვიდობიან პერიოდში ვულკანის ამოფრქვეულ ლავას დაემსგავსება, სადაც ქართულ ლაშქარს თანამემამულეთა ათასეულები გაამხნევებენ, მაგრამ ისიც ვიცით, რომ მეტოქეს, დიდგორის მსგავსად, ტრიბუნებზე სოლიდური რაოდენობრივი უპირატესობა ექნება.**

მნიშვნელოვანი ფაქტორია, მაგრამ არა-გადამწყვეტი, რადგან ფეხბურთის ისტორიას ურუგვაელთაგან მარაკანაზე შეკრებილი 200-ათასიანი ბრაზილიური ტორსიდის დადუმებაც ახსოვს.

ისტორია თარიღებსაც ინახავს. დიახ, ხვალ **დავით ყიფიანის** დაბადების დღეა, ბოსფორისპირელთა იტალიელი თავკაცი **ვინჩენცო მონტელა** კი სულაც იუბილარია-50 წელი უსრულდება. მეტი სტიმული რაღა გნებავთ? მოკლედ-ვინ ვის?!

კიდევ ერთი საგულისხმო ისტორიული წიაღსვლა: აქამდე თურქეთს 7 მთავარ ფორუმზე უთამაშია (2 მუნდიალზე და 5 ევროზე) და თავისი პირველი შეხვედრა ყველგან წაუგია, მათ შორის 3-მომავალ ჩემპიონთან: 1954 წელს-გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან-1:4, 2002 წელს– ბრაზილიასთან-1:2 და 2020 წელს-იტალიასთან-0:3. იმედია ნავსი არც ამჯერად გატყდება და ტრადიცია ჩვენთვის სასიკეთოდ შენარჩუნდება.

რაც შეეხება სტატისტიკას: მართალია, აქამდე გამართული 5 მატჩიდან 3 წავაგეთ, მაგრამ 1 ფრედ დავასრულეთ-1:1 (**ასათიანი**), 1 კი საერთოდ მოვიგეთ-1:0 (**სირაძე**). ასე რომ, მეზობლებთან გამარჯვების გემოც უკვე დაჭაშნიკებული გვაქვს.

როცა ხვალინდელ ჯახზე ვსაუბრობთ, გასათვალისწინებელია ტრავმების საკითხიც, ამ მხრივ კი ჩვენ საქმე შეუდარებლად უკეთესად გვაქვს, რადგან თუ მეტოქის ლაზარეთი ერთბაშად 5 მოთამაშით, მათ შორის დაცვის ბურჯებით-სოიუნჯუთი და ქაბაქით შეივსო, კვირკველიამ, კიტეიშვილმა და ჩაკვეტაძემ მცირე დაზიანებები უკვე მოიშუშეს და გუნდთან ერთადაც მოასწრეს ვარჯიში.

ალბათ, საერთო სურათის შესაქმნელად სხვა ჯგუფებში განვითარებულ მოვლენებსაც უნდა შევეხოთ და ხაზი გავუსვათ მრავლისმთქმელ გარემოებას–ფავორიტები ამართლებენ სტატუსს და, თანაც, ახერხებენ, რომ შესვენებამდე მოსპონ ინტრიგა: გერმანია-შოტლანდია 5:1(3:0),შვეიცარია-უნგრეთი 3:1(2:0), ესპანეთი-ხორვატეთი 3:0 (3:0), იტალია-ალბანეთი 2:1 (2:1). ეს მხოლოდ ჟურნალია-პრემიერებით აწი დავტკბებით!

**მინაწერი: ზემოთ წარსულში ვიმოგზაურეთ და, მოგეხსენებათ, რომ, სამწუხაროდ, წინაპართაგან ღალატის განსაკუთრებული უნარიც მოგვდგამს, რაც 21-ე საუკუნეშიც გრძელდება.**

**თუ არა, რბილად რომ ვთქვათ, კვანტის დადება, რა უნდა ვუწოდოთ ფორმალური პრეზიდენტის მორიგ სამარცხვინო საქციელს, რომელმაც მთავრობის მიერ ღირსების დამსახურებულ ორდენზე წარდგენილი ქართული საფეხბურთო ოჯახის წევრთა საამაყო სია თვითნებურად, გაუმართლებლად გაფილტრა და ორთვიანი(!) დაგვიანებით ხელი მხოლოდ მათი ნაწილის დაჯილდოების ბრძანებულებას მოაწერა?!**

**ისტორიული ევროპული დებიუტის წინ ქართულ დელეგაციაზე უფრო მეტი ფსიქოლოგიური დარტყმის მიყენება მართლაც რომ ძნელი მოსაფიქრებელი იქნებოდა. ჰოდა, ნურავის გაუკვირდება, თუ სოლიდარობის ნიშნად ღირსებით არც დანარჩენები ივაჭრებენ!**

◎ ტრიუმფი

# ოქროებით დახუნძლულნი

**7 მედალი: 5 ოქრო, 1 ვერცხლი, 1 ბრინჯაო, – ასეთი შედეგი დააფიქსირეს ქართველმა კუდოისტებმა იტალიის დედაქალაქ რომში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე დიდებსა და 19-წლამდელთა შორის.**

პირველად საქართველოს ისტორიაში, ქართველი გოგო ევროპის ჩემპიონი გახდა კუდოში. 17 წლის **მარიამ ნანავამ** ოქროს მედალი მოიპოვა. ზედიზედ მეორედ, გახდა ევროპის ჩემპიონი **ლევან დარასელია, რომეო გაგლაიამ** კი ევროპირველობაზე მეორედ მოიპოვა ბრინჯაოს მედალი. 19-წლამდელთა შორის მესამედ გახდა ევროპის ჩემპიონი **ვასილ დვალაძე**, ამავე ასაკში ევროპის ჩემპიონატზე მეორე ოქრო მოიპოვა **საბა მაქაცარიამ.** რომში ასევე ჩემპიონობა იზეიმა **ლუკა ნასარიძემ,** ლუკამ ევროპის ჩემპიონატზე კარიერაში მეორე მედალი მოიპოვა-2022 წელს მან ევროპის ჩემპიონატზე ვერცხლის მედალი დაისაკუთრა. ევროპის ჩემპიონატზე საქართველოდან 8 კუდოისტმა იასპარეზა.

◎ სერია-ა – ნათელი წერტილი –

**საქართველოს ნაკრებისა და „ვირტუს ბოლონიას“ ლიდერი თორნიკე შენგელია იტალიის სერია A-ს პლეიოფის ანუ სიმბოლურ გუნდში მოხვდა.**

შესანიშნავი თამაშის შედეგად შენგელია „ვირტუს ბოლონიას“ ზედიზედ მეოთხედ, ფინალში გასვლაში დაეხმარა. მიუხედავად იმისა, რომ ქართველი პლეიოფში მხოლოდ ¼ ფინალის მესამე მატჩში ჩაერთო, მან გადამწყვეტი როლი ითამაშა ფინალში გასვლაში.

პლეიოფის სიმბოლურ გუნდში შენგელიასთან ერთად მისი თანაგუნდელი ალესანდრო პაიოლა და სამი მილანელი – შეივონ შილდსი, ნიკოლა მიროტიჩი და ნიკოლო მელი მოხვდნენ.

◎ ლეგიონერი

# რჩეულთა ათეულში

**პოპულარულმა სპორტულმა ვებ-გვერდმა WhoScored-მა ევროპის ჩემპიონატის დაწყების წინ 10 ახალგაზრდა მოთამაშე გამოარჩია და სიაში გიორგი მამარდაშვილიც შეიყვანა.**

**„ვალენსიაში ჩატარებული შესანიშნავი სეზონის შემდეგ გიორგი მამარდაშვილი ეცდება ევრო 2024-ზე თავი შესანიშნავად წარმოაჩინოს და ევროპის საუკეთესო მეკარეებს შორის ადგილი დაიმკვიდროს. 23 წლის ფეხბურთელმა ლა ლიგაში 106 დარტყმა მოიგერია, რაც მეექვსე შედეგია და ეჭვგარეშეა, რომ მას ამ ზაფხულშიც სერიოზული გამოცდა ელის გერმანიაში. საქართველო პირველ დიდ საერთაშორისო ტურნირზე ითამაშებს და ამ დონეზე გამოუცდელობა შესაძლოა მათ წინააღმდეგ იყოს, თუმცა, კარში მამარდაშვილის კალიბრის მეკარის ყოფნით, ისინი ჯგუფიდან გასასვლელადაც იბრძოლებენ“** – წერია სტატიაში.

გიორგი მამარდაშვილთან ერთად, **WhoScored**-მა ლამინ იამალი (ესპანეთი), ფლორიან ვირცი (გერმანია), ჰეორჰი სუდაკოვი (უკრაინა), მარიო მიტაი (ალბანეთი), ბენუამინ შეშკო (სლოვენია), არდა გიულერი (თურქეთი), ჯოშუა ზირკზე (ნიდერლანდები), ლაზარ სამარჯიჩი (სერბეთი) და ბრეედლი ბარკოლა (საფრანგეთი) გამოარჩია.

◎ პატივი

**NBA-ის, საქართველოში ამერიკის საელჩოსა და კალათბურთის ეროვნული ფედერაციის ერთობლივი ორგანიზებით, უკვე მერვედ ტარდება ჯუნიორ ნბა-ს ლიგა, რომელშიც მთელი ქვეყნის მასშტაბით 2024 წლის სეზონში 130-მდე გუნდი დარეგისტრირდა.**

# უკვე-მეოთხედ!

წინა წელს კალათბურთზე მოთხოვნილების გაზრდამ დღის წესრიგში დააყენა ჯუნიორ ნბა-ს ძირითად ტურნირში მონაწილეთა გაზრდა. გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული ტურნირი ამერიკის ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის დუბლირებაა, მონაწილეთა ან ფორმატის შეცვლა დაუშვებელია, ამიტომ, აქამდე არსებულ ჯუნიორ ნბა-ს **A** და **B** ლიგებს დაემატა **C** ლიგა. შესაბამისად, ჯუნიორ ნბა-ში მონაწილე გუნდების რაოდენობა 60-დან 90-ამდე გაიზარდა.

შეგახსენებთ ჯუნიორ ნბა-ს ჩატარების ფორმატს. ლიგის თითოეული გუნდი ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის თითო გუნდს წარმოადგენს. სწორედ გუნდებისთვის ნბა-ს გუნდების სახელების მინიჭებისთვის ჯუნიორ ნბა-ს წილისყრა, ეგრეთწოდებული დრაფტი გაიმართა. **A** ლიგის თამაშები დივიზიონების მიხედვით თბილისში, რუსთავში, გორში, გურჯაანში, ქუთაისსა და ბათუმში ჩატარდება, **B** ლიგისა და **C** ლიგის თამაშებს კი მთლიანად დედაქალაქი უმასპინძლებს.

საქართველოში ყველაზე მასშტაბური ბავშვთა საკალათბურთო პროექტი – ჯუნიორ ნბა გოგონათა და ვაჟთათვის კალათბურთის ლიგის გლობალური ახალგაზრდული პროგრამაა, რომელიც ხელს უწყობს ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, კალათბურთის პოპულარიზაციას და პერსპექტიული ახალგაზრდების აღმოჩენას. ჯუნიორ ნბა-ს ლიგა მომავალ კალათბურთელებს, მწვრთნელებსა და მშობლებს შესაძლებლობას აძლევს გაიღრმავონ საკალათბურთო ცოდნა და გაიზიარონ კალათბურთის თამაშით მინიჭებული სიხარული.

წლევანდელი სეზონის ჯუნიორ ნბა-ს წილისყრა თბილისი არენაზე გაიმართა, სადაც ჯუნიორ ნბა-ში მონაწილე გუნდებს **NBA**-ს კლუბების სახელები მიენიჭათ და **A, B** და **C** ლიგების მონაწილე 1350-ივე კალათბურთელს **NBA**-სგან სათამაშო ფორმები საჩუქრად გადაეცათ. პროექტის ფორმატის გათვალისწინებით მონაწილე სამივე ლიგაში მონაწილე გუნდები 6-6 დივიზიონში განაწილდნენ.

◎ ოვალური ბურთი

# პლეიოფში ითამაშებენ

**საქართველოს 7-ქალამ რაგბი ევროპის ალაფის პირველ, ზაგრების (ხორვატეთი) ეტაპზე სამივე შეხვედრა მოიგო და თასის 1/4-ფინალში თამაში გაინაღდა.**

ჯაბა მალაღურაძის შეგირდებს ჯგუფური ეტაპის პირველი თამაში ისრაელთან ჰქონდათ და 5 უპასუხო ლელო გაიტანეს. ლელოები მარიამ გოგუაძემ, თამარ მანაგაძემ, მანონი საღარაძემ, თეონა ჩიტაიშვილმა და ანა დათიაშვილმა მითვალეს, ანა პოღოსიანმა ერთი გარდასახვა გამოიყენა და საქართველომ 27:0 გაიმარჯვა.

გოგონებმა 5 უპასუხო ლელო გაუტანეს ნორვეგიასაც. ამ შემთხვევაში თავი სალომე მაკასარაშვილმა, ლიკა ხუფენიამ, მარიამ გოგუაძემ, მანონი საღარაძემ და სალომე საღარაძემ გამოიჩინეს – 25:0.

გუშინ გამართულ მესამე შეხვედრაში კი ქართველმა გოგონებმა დაძაბულ ბრძოლაში ფინეთი 15:12 დაამარცხეს, პირველი ადგილი დაიკავეს და დღეს 1/4 ფინალში რუმინეთს დაუპირისპირდებიან.

ზაგრების ეტაპზე თამაშობენ

**სალომე საღარაძე, სალომე მაკასარაშვილი, ნათია გავაშელიშვილი, ანი კაპანაძე, თეონა ჩიტაიშვილი, თამარ მანაგაძე, მარიამ გოგუაძე, მანონი საღარაძე, ლიკა ხუფენია, ანა დათიაშვილი, ანა ხაბულიანი, ანა პოღოსიანი, ანა რურუა.**

# განცხადება
## აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306I6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს **„ლიბერთი ბანკის“** განცხადების საფუძველზე ატარებს **მეორე** აუქციონს ალიკა მიტიჩაშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ალიკა მიტიჩაშვილი (პ/ნ 13001004782), გურჯაანი, ს. ველისციხე, 35-ე ქუჩა №78

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

გურჯაანი, ს. ველისციხე (საკადასტრო კოდი: 51.07.63.351 **HTTPS://NAPRWEB.REESTRI.GOV.GE/ - /SEARCH**)

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 29514 ლარი.

**3. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2024 წლის 17 ივნისი, 14:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2024 წლის 28 ივნისი, 15:30 საათი.

**5. აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე **www.eauction.ge**.

**5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №**71271HZP99434824**;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 994348

**6. მოვალე:** ალიკა მიტიჩაშვილი (პ/ნ 13001004782), გურჯაანი, ს. ველისციხე, 35-ე ქუჩა №78;
მანანა სარაშვილი (პ/ნ 13001047977), გურჯაანი, ს. ველისციხე, მე-5 ქუჩა №6

**7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

**8. აუქციონის პირობები:**

• აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;

• მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;

• აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.

• აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი **GE17TB1188736020100003**). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

**9. აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე **www.eauction.ge** (განაცხადის №**71271HZP99434824**; ლოტის ნომერი: 994348).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 28 ივნისის 12:00 საათამდე.

# განცხადება
## აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306I6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს **„ლიბერთი ბანკის“** განცხადების საფუძველზე ატარებს **მეორე** აუქციონს ომარ ჩოხელის და სოფიო ჩოხელის თანასაკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

**1. უძრავი ნივთის თანამესაკუთრე:** ომარ ჩოხელი (პ/ნ 36001045758), საგარეჯო, ს. გორანა; სოფიო ჩოხელი (პ/ნ 36401055335), საგარეჯო, ს. გორანა;

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

საგარეჯო, ს. კოჭბაანი, გორანა (საკადასტრო კოდი: 55.17.53.000.028 **HTTPS://NAPRWEB.REESTRI.GOV.GE/ - /SEARCH**)

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 21430.67 ლარი.

**3. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2024 წლის 17 ივნისი, 14:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2024 წლის 28 ივნისი, 14:30 საათი.

**5. აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე **www.eauction.ge**.

**5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები**: განაცხადის №**71271HZP99434524**;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 994345

**6. მოვალე:** ომარ ჩოხელი (პ/ნ 36001045758), საგარეჯო, ს. გორანა;
ბექა ჩოხელი (პ/ნ 36001052226), საგარეჯო, ს. გორანა

**7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

**8. აუქციონის პირობები:**

• აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;

• მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;

• აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.

• აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი **GE17TB1188736020100003**). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

**9. აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე **www.eauction.ge** (განაცხადის №**71271HZP99434524**; ლოტის ნომერი: 994345).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 28 ივნისის 12:00 საათამდე.

# განცხადება
## აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306I6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს **„ლიბერთი ბანკის“** განცხადების საფუძველზე ატარებს **მესამე** აუქციონს ვერიკო შუბითიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ვერიკო შუბითიძე (პ/ნ 14001006508), ყვარელი, ს. ბალღოჯიანი

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

ყვარელი, ს. ბალღოჯიანი (საკადასტრო კოდი: 57.02.70.000.238 **HTTPS://NAPRWEB.REESTRI.GOV.GE/ - /SEARCH**).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 3000 ლარი.

**3. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2024 წლის 17 ივნისი, 14:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2024 წლის 28 ივნისი, 14:30 საათი.

**5. აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე **www.eauction.ge.**

**5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №**71271HZP99434324**;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 994343

**6. მოვალე:** ვერიკო შუბითიძე (პ/ნ 14001006508), ყვარელი, ს. ბალღოჯიანი;
ლევან ბუზალაძე (პ/ნ 45001032297), ყვარელი, ს. ბალღოჯიანი

**7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

**8. აუქციონის პირობები:**

• აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;

• მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;

• აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.

• აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი **GE17TB1188736020100003**). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

**9. აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე **www.eauction.ge** (განაცხადის №**71271HZP99434324**; ლოტის ნომერი: 994343).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 28 ივნისის 12:00 საათამდე.

# განცხადება
## აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306I6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს **„ლიბერთი ბანკის“** განცხადების საფუძველზე ატარებს **მეორე** აუქციონს ზურაბ ნონიაშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ზურაბ ნონიაშვილი (პ/ნ 24001010219), კასპი, 26 მაისის ქ. №7

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

კასპი, ცემ. ქარხნის თიხის კარიერთან (საკადასტრო კოდი: 67.01.52.017 **HTTPS://NAPRWEB.REESTRI.GOV.GE/ - /SEARCH**)

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 21143.91 ლარი.

**3. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2024 წლის 17 ივნისი, 14:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2024 წლის 28 ივნისი, 15:00 საათი.

**5. აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე **www.eauction.ge.**

**5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №**71271HZP99434624**;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 994346

**6. მოვალე:** ზურაბ ნონიაშვილი (პ/ნ 24001010219), კასპი, 26 მაისის ქ. №7.

**7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

**8. აუქციონის პირობები:**

• აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;

• მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;

• აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.

• აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი **GE17TB1188736020100003**). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

**9. აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე **www.eauction.ge** (განაცხადის №**71271HZP99434624**; ლოტის ნომერი: 994346).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 28 ივნისის 12:00 საათამდე.

# განცხადება
## აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306I6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს **„ლიბერთი ბანკის“** განცხადების საფუძველზე ატარებს **მესამე** აუქციონს დავით ზუროშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** დავით ზუროშვილი (პ/ნ 08001009859), ახმეტა, ს. ოჟიო

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

ახმეტა, სოფელი კოღოთო (საკადასტრო კოდი: 50.12.39.104)

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 3000 ლარი.

**3. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2024 წლის 17 ივნისი, 14:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2024 წლის 28 ივნისი, 14:15 საათი.

**5. აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე **www.eauction.ge**.

**5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №**71271HZP99434424**;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 994344

**6. მოვალე:** დავით ზუროშვილი (პ/ნ 08001009859), ახმეტა, ს. ოჟიო;
ეკატერინე გახუტიშვილი (პ/ნ 08001029238), ახმეტა, ს. ოჟიო.

**7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

**8. აუქციონის პირობები:**

• აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;

• მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;

• აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.

• აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი **GE17TB1188736020100003**). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

**9. აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე **www.eauction.ge** (განაცხადის №**71271HZP99434424**; ლოტის ნომერი: 994344).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 28 ივნისის 12:00 საათამდე.

# განცხადება

## აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306I6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს **„ლიბერთი ბანკის“** განცხადების საფუძველზე ატარებს **პირველ** აუქციონს გოჩა ფერაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** გოჩა ფერაძე (პ/ნ 18001001453), ზესტაფონი, სოფელი მარტოთუბანი, პირველი ქუჩის II შესახვევი №9

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

ზესტაფონი, სოფელი მარტოთუბანი, პირველი ქუჩის II შესახვევი №9 (საკადასტრო კოდი: 32.15.35.021 **HTTPS://NAPRWEB.REESTRI.GOV.GE/ - /SEARCH**)

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 44593.69 ლარი.

**3. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2024 წლის 17 ივნისი, 14:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2024 წლის 28 ივნისი, 15:45 საათი.

**5. აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე **www.eauction.ge**.

**5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №**71271HZP99434924**;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 994349

**6. მოვალე:** გოჩა ფერაძე (პ/ნ 18001001453), ზესტაფონი, სოფელი მარტოთუბანი, პირველი ქუჩის II შესახვევი №9

**7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

**8. აუქციონის პირობები:**

• აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;

• მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;

• აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.

• აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი **GE17TB1188736020100003**). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

**9. აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე **www.eauction.ge** (განაცხადის №**71271HZP99434924**; ლოტის ნომერი: 994349).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 28 ივნისის 12:00 საათამდე.

# განცხადება

## აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306I6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს **„ლიბერთი ბანკის“** განცხადების საფუძველზე ატარებს **მესამე** აუქციონს ლევან ჯაფარიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ლევან ჯაფარიძე (პ/ნ 13001027186), გურჯაანი, ს. ჭანდარი, პირველი ქუჩა №56

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

გურჯაანი, ს. ჭანდარი (საკადასტრო კოდი: 51.11.58.222 **HTTPS://NAPRWEB.REESTRI.GOV.GE/ - /SEARCH**)

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 2500 ლარი.

**3. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2024 წლის 17 ივნისი, 14:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2024 წლის 28 ივნისი, 15:15 საათი.

**5. აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე **www.eauction.ge.**

**5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №**71271HZP99434724**;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 994347

**6. მოვალე:** ლევან ჯაფარიძე (პ/ნ 13001027186), გურჯაანი, ს. ჭანდარი, პირველი ქუჩა №56;
დავით ჯაფარიძე (პ/ნ 13001034044), გურჯაანი, ს. ჭანდარი, პირველი ქუჩა №56.

**7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

**8. აუქციონის პირობები:**

• აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;

• მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;

• აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.

• აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი **GE17TB1188736020100003**). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

**9. აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე **www.eauction.ge** (განაცხადის №**71271HZP99434724**; ლოტის ნომერი: 994347).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 28 ივნისის 12:00 საათამდე.

# კოლეჯ ,,ჰორიზონტის“ გურრიის ფილიალში საუკუნოვანი ისტორიისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა

**კოლეჯ "ჰორიზონტის" გორგაბერეჟოულის ფილიალში, გურიაში პროფესიული განათლების საუკუნოვანი ისტორიისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა, რომელსაც საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის პირველი მოადგილე ალექსანდრე წულაძე, გურიის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულ გიორგი ურუშაძესთან და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად დაესწრო.**

,,ძალიან სასიხარულო დღე არის გურიაში: 100 წლის იუბილე აღინიშნება პროფესიული სასწავლებლის დაარსებიდან. პროფესიული განათლების განვითარება არის, ფაქტობრივად, უალტერნატივო საქართველოში, იქიდან გამომდინარე, რომ მას აქვს არაჩვეულებრივი შედეგები. ახალგაზრდებსა და არამხოლოდ ახალგაზრდებს, ვურჩევ, გურიასა და მის ფარგლებს გარეთ, მთელს საქართველოში, რომ ჩაირიცხონ პროფესიულ სასწავლებლებში, დაეუფლონ პროფესიებს. უდიდესი მნიშვნელობის არის დღევანდელი დღე, იქიდან გამომდინარე, რომ ამ კოლეჯმა უზარმაზარი ისტორია შექმნა ამ ერთი საუკუნის მანძილზე, ფაქტობრივად, გურიაში დაამკვიდრა ტრადიცია და კულტურა პროფესიული განათლებისა, რომელმაც უკვე მოიტანა ძალიან კარგი შედეგები და კიდევ უფრო დიდ შედეგებს მოგვიტანს მომავალში“ , –განაცხადა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის პირველმა მოადგილემ ალექსანდრე წულაძემ.

,,100 წლის წინ გურიის რეგიონში, ჩოხატაურში, სოფელ გორგაბერეჟოულში, დაარსდა სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი, რომლის ტრადიციებსაც დღეს უკვე აგრძელებს პროფესიული კოლეჯი ,,ჰორიზონტი“. აქ არსებული თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი ლაბორატორიები და ის პროფესიები, რომელთა შესწავლაც ხდება, სრულად პასუხობს იმ გამოწვევებსა და მოთხოვნებს, რაც აქვთ საჯარო თუ კერძო სექტორს და საშუალებას აძლევს სტუდენტებს, რომ მიიღონ განათლება და დასაქმდნენ შესაბამისი პროფესიების მიხედვით“, - აღნიშნა გურიის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულმა გიორგი ურუშაძემ.

# ფრთხილად! რძე და რძის პროდუქტებიც უვარგისია

**სურსათის ეროვნული სააგენტოს ინსპექტორები მთელი საქართველოს მასშტაბით ყველისა და რძის სხვა პროდუქტების ნიმუშებს იღებენ. 2024 წლის 5 თვის მონაცემებით, სურსათის ეროვნულმა სააგენტომ რძისა და რძის პროდუქტების მწარმოებელ-გადამამუშავებელ ბიზნესოპერატორებთან უკვე განახორციელა 6729 სახელმწიფო კონტროლი. შედეგად გამოვლინდა 508 სამართალდარღვევა, რაზეც გატარდა კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები.**

„რძის სექტორში არსებულ გამოწვევებსა და მათი გადაჭრის გზებზე სააგენტო აქტიურად თანამშრომლობს მწარმოებლებსა და ასოციაციებთან. მორიგ შეხვედრაზე, რომელიც სურსათის ეროვნულ სააგენტოში გაიმართა, ყველის მწარმოებლებმა ბაზარზე კონკურენტუნარიანი და სამართლიანი გარემოს შესაქმნელად სახელმწიფო და კერძო სექტორების თანამშრომლობის მნიშვნელობაზე გაამახვილეს ყურადღება და სააგენტოს მიერ დარგის გაჯანსაღებისთვის გადადგმული ნაბიჯები და გატარებული ღონისძიებები დადებითად შეაფასეს.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ოთარ შამუგიას დავალებით, სურსათის ეროვნულმა სააგენტომ მიმდინარე წელს რძისა და რძის ნაწარმის კონტროლი გააძლიერა.

აღსანიშნავია, რომ 2020 წელს, რძის ცხიმის სისუფთავის განსაზღვრის მიზნით აღებულ 60 ნიმუშში დარღვევის მაჩვენებელმა შეადგინა 13%-ზე მეტი, ხოლო 2023 წელს აღებული 250 ნიმუშიდან დარღვევა 4,4%-ში გამოვლინდა, - წერია სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# წითელ ხიდზე 15 ტონამდე აღურიცხავი საწვავის შემოტანის ფაქტი აღიკვეთა

**ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო გამშვები პუნქტის „წითელი ხიდი“ მებაჟე ოფიცრების მიერ, აზერბაიჯანის რესპუბლიკის მხრიდან შემოსული სატვირთო ავტომობილის და მისი მისაბმელის ეჭვის საფუძველზე დეტალური დათვალიერების შედეგად, სპეციალურად მოწყობილ სამალავში აღმოჩენილი იქნა 15 ტონამდე არადეკლარირებული დიზელის საწვავი.**

საქმის მასალები შემდგომი რეაგირების მიზნით ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეგზავნა.

საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვების განმახორციელებელი სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებისას, საბაჟო ზედამხედველობის ფარგლებში, მკაცრად კონტროლდება აღურიცხავი საწვავის შემოტანა.

შემოსავლების სამსახური ავტოსატრანსპორტო საშუალებების მფლობელებს მოუწოდებს, თავი შეიკავონ კანონსაწინააღმდეგო ქმედებისგან.

## გილოცავთ!

# წლები მისი სიმდიდრეა

18 ივნისს 87 წელი შეუსრულდება ლეგენდარულ ქართველ მოფარიკავეს — ორი ოლიმპიური და შვიდი მსოფლიო ჩემპიონატების მედლების მფლობელს, დიდებულ მამულიშვილს, მეგობარსა და უბრალოდ მრწყინვალე ადამიანს

## გურამ კოსტავას

ვუსურვებთ მას ჯანმრთელობას და კიდევ დიდხანს სიცოცხლეს. მეგობრები და ვეტერანი მოფარიკავეები:

**გ. ცაგარელი, ზ. ცქიტიშვილი, ი. ოსიპოვი, ა. გოგელია, გ. სალარაძე, ზ. მძედლიძე, დ. სახვაძე, გ. ანდრიაძე, ზ. კუპრაშვილი, ა. ოლლიშვილი, უ. ვარდიაშვილი, ზ. ბოკუჩავა.**

# ამომავალი მზის ქვეყანა საქართველოს დღეებს მასპინძლობს

საქართველოს დღეები იაპონიაში

**15-16 ივნისს საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინიციატივითა და ორგანიზებით, ასევე, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით, „საქართველოს დღეები იაპონიაში“ პირველად გაიმართა.**

უწყების ცნობით, იოიოგის პარკში ორი დღის განმავლობაში ქართული ხელოვნების, კულტურისა და სპორტის თვალსაჩინო წარმომადგენლებმა წარმოაჩინეს ჩვენი ქვეყანა.

„გაიმართა თბილისსა და რეგიონებში მოქმედი ფოლკლორული და ქართული ხალხური ანსამბლების კონცერტები, თეატრალური წარმოდგენები, სპორტული შეჯიბრებები, ქართული რეწვის ოსტატთა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა და სხვა. საგულისხმოა, რომ ღონისძიებებში მონაწილეობა ასევე მიიღეს იაპონიაში მოქმედი ქართული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლებმა.

ღონისძიებაზე დაგეგმილ სპორტულ აქტივობებში მონაწილეობა მიიღო მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონმა, ცნობილმა ქართველმა მკლავჭიდელმა ლევან საგინაშვილმა.

საგულისხმოა, რომ მსგავსი აქტივობები ხელს შეუწყობს ორ ქვეყანას შორის კულტურისა და სპორტის მიმართულებით კავშირების უფრო მეტად გამყარებას, მდიდარი ქართული კულტურისა და სპორტის ტრადიციების წარდგენას იაპონელი ხალხისა და იქ მცხოვრები ქართველებისათვის.

# სიღნაღის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის გამარჯვებულები გამოვლინდნენ

**კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით დაფუძნებული სიღნაღის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი საზეიმოდ დაიხურა.**

თეატრის კრიტიკოსების, რეჟისორებისა და თეატრმცოდნეებისაგან დაკომპლექტებულმა ჟიურიმ, რომელშიც ორი უცხოელია, ქართულ და უცხოურ დასებს შორის გამარჯვებულები გამოავლინა.

**ესენია:**

**I ადგილი** – სპექტაკლი **„ფიროსმანი“** – **მოხეტიალე მთვარის თეატრი;**

**II ადგილი** – სპექტაკლი **„უშგა და თეთნულდი“** – **მესტიის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი (მესტია);**

**III ადგილი** – სპექტაკლი **„მეთორმეტე სახლი“** – **მელექ სეილანი და მისი გუნდი (თურქეთი).**

გამარჯვებულებს ფულად პრემიებთან ერთად ფესტივალის სპეციალური სიგელები და კომპანია „ზარაფხანის“ მიერ ფესტივალისთვის დამზადებული ჯილდოები გადაეცათ. საგულისხმოა, რომ წლევანდელი საპრიზო ფონდი გაზრდილია, რაც ძალიან მნიშვნელოვანია თეატრების სადადგმო თუ საგასტროლო ხარჯისა და ნებისმიერი სხვა საჭიროებისათვის.

სიღნაღის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი ივნისში, ერთი კვირის განმავლობაში, ტარდება. წელს სიღნაღის თეატრალური ფესტივალი საერთაშორისო სტატუსით ჩატარდა და მასში უცხოური დასებიც მონაწილეობდნენ.

**საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო ულოცავს სიღნაღის საერთაშორისო ფესტივალის გამარჯვებულ თეატრთა დასებსა და მათ ხელმძღვანელებს, ნაყოფიერ და წარმატებულ შემოქმედებით საქმიანობას უსურვებს“,** – ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

# კომპოზიტორ მერი დავითაშვილის უკვდავება

**კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით საქართველოს ეროვნული არქივის კინოდარბაზში სახელგანთქმული ქართველი კომპოზიტორის მერი დავითაშვილის დაბადებიდან 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი დოკუმენტური ფილმის – „და ესე გავხდი საბავშვო“ – პრემიერა გაიმართა. ფილმის რეჟისორია დიმიტრი ბუთლიაშვილი, – ამის შესახებ ინფორმაციას ეროვნული არქივი ავრცელებს.**

მათივე ცნობით, ღონისძიებას საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრი თეა წულუკიანი დაესწრო. საღამოს ასევე ესწრებოდნენ კომპოზიტორის ოჯახის წევრები, ახლობლები და ხელოვნების სფეროს წარმომადგენლები.

დოკუმენტური ფილმის „და ესე გავხდი საბავშვო“ დასრულება კულტურის სამინისტროს ხელშეწყობით გახდა შესაძლებელი. კერძოდ, პროექტმა გაიმარჯვა კონკურსში – „დოკუმენტური,სამეცნიერო-პოპულარული კინოს ხელშეწყობა“. ამ კონკურსის მიზანია სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური კინოს განვითარების მხარდაჭერა და თავისუფალი ხელოვანების კერძო სტუდიების შემოქმედებითი საქმიანობის წახალისება.

ფილმი წარმოაჩენს ბრწყინვალე საბავშვო კომპოზიტორის მერი დავითაშვილის ცხოვრებასა და მის მევრისთვის საყვარელ და ნაცნობ მუსიკალურ შემოქმედებას.

მერი დავითაშვილი არის ორი საბავშვო ოპერის – „ქაჯანასა“ (ლიბრეტოს ავტორი რ. თაბუკაშვილი) და „ნაცარქექიას“ (ლიბრეტოს ავტორი ს. ჭეიშვილი) ავტორი; შექმნა 150-ზე მეტი საბავშვო სიმღერა, მუსიკა პოპულარული ქართული ანიმაციური ფილმებისათვის: „ჩხიკვთა ქორწილი“, „წუნა და წრუწუნა“, „ნახევარწიწილა“, „სათაგური“ და სხვა.

საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო პატივს მიაგებს მერი დავითაშვილის ხსოვნას და მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში შეტანილ მის უდიდეს წვლილს.

# საქართველოს ყველაზე პოპულარული დაცული ტერიტორიები

**2024 წლის 5 თვეში, ყველაზე მონახულებად დაცულ ტერიტორიებს: პრომეთეს მღვიმეს, მარტვილის კანიონს, სათაფლიას, მტირალას ეროვნულ პარკსა და წალკის კანიონს, ჯამში 153 730 ვიზიტორი ესტუმრა, რაც გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 18%-ით გაზრდილი მაჩვენებელია.**

პრომეთეს მღვიმე

მარტვილის კანიონი

საქართველოს მასშტაბით დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორთა რაოდენობა, გასულ წელთან შედარებით, 4%-ით არის გაზრდილი. ვიზიტორთა შორის 39% ქართველია, ხოლო 61% სხვა ქვეყნის მოქალაქე.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაცული ტერიტორიების სააგენტო განაგრძობს საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე ეკოტურიზმის განვითარებას, რომლის შედეგად, ვიზიტორებს ხვდებათ უსაფრთხო და კომფორტული მოგზაურობისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურა. მიმდინარე წელს სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა სხვადასხვა დაცულ ტერიტორიაზე.

წლის ბოლომდე დაგეგმილია ეკოტურისტული სერვისების განვითარების მიზნით 8 დაცულ ტერიტორიაზე 690 კმ-მდე სიგრძის საფეხმავლო ბილიკების ქსელისა და თანმდევი ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები, კერძოდ: ბორჯომ-ხარაგაულის, კინტრიში-მტირალას, ქობულეთის, თბილისის, თუშეთი-ფშავ- ხევსურეთი-ყაზბეგის- ეროვნულ პარკებში. ასევე ვიზიტორთა ცენტრის მოწყობა ზედაზენზე თბილისის ეროვნულ პარკში და ქობულეთის დაცულ ტერიტორიებზე შშმ პირებზე ადაპტირებული ახალი ტურისტული ინფრასტრუქტურული სამუშაოების დასრულება და სხვა.

**უცხოური ვალუტის კურსი:**
**აშშ დოლარი - 2.8688; ევრო - 3.0682;**
**ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.6471;**
**100 რუბლი - 3.2115; თურქული ლირა - 0.0878;**
**აზერბაიჯანული მანათი - 1.6880;**
**1000 სომხური დრამი - 7.3929.**

**ამინდი 17 ივნისისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +17, | დღე | +35 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +13, | დღე | +32 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +18, | დღე | +30 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +15, | დღე | +29 |
| **თბილისი:** | ღამე | +21, | დღე | +35 |

საქართველოს რესპუბლიკა
www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge
ფასი 1 ლარი

„საქართველოს რესპუბლიკის“
რედაქტორ-გამომცემელი:
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35);

რედაქტორის მოადგილე:
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04),

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,**
**თემურ ქორიძე,**
**ოთარ ტურაბელიძე,**
**გია პლატონიშვილი,**

რეკლამისა და
გავრცელების მენეჯერი:
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17),

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,**
**მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი:
**შორენა გვილია.**
დამკაბადონებელი:
**გიორგი მახარაშვილი.**

გაზეთ „საქართველოს
რესპუბლიკის“
განახლებული ლოგოს
ავტორი:
**გიორგი ნადარეიშვილი**

**მისამართი:**
თბილისი. აკაკი
წერეთლის # 116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

**გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს. რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს უკან არ უბრუნდებათ. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედიასაშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.**

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323
2 009882 616932

რეკლამისთვის დარეკეთ: 577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790